# საერთო გაზეთი

№46 (407) • 7 დეკემბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


## ნიკოლოზ მჟავანაძე:

## მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას: თუ გვინდა საქართველო გადარჩეს, სასწრაფოდ დაელაპარაკეთ რუსებს!



ქართველ მეფეებს რომ ეთქვათ, სანამ ტერიტორიებს არ დაგვიბრუნებენ, მონღოლებს ან სხვა დამპყრობლებს არ დაველაპარაკებითო, საქართველო დღეს აღარ იარსებებდა!

## პაატა გიორგაძე:



საქართველო, წყლის რესურსების ეფექტურად გამოყენებას თუ მოახერხებს, მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა გახდება



## „ბაყბაყდევი" ხაზარაძე საქართველოს წყლების დაპატრონებას ცდილობს?!

## რა კავშირშია რაბინების წინასწარმეტყველება დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებასთან?

## ვახტანგ ხარჩილავა:

## გზა საქართველოსკენ








სინგაპურის მშენებლობის იდეა ჩაიშალა...

მადლობა ღმერთს, ახლა საქართველოს ვაშენებთ, მაგრამ როგორ გამოგვივა ეს საქმე, როცა საქართველოს მეხუთე მოწვევის პარლამენტის გადაწყვეტილების შემდეგ ისიც კი არ ვიცით დანამდვილებით, საერთოდ ვარსებობთ თუ არა ამ მზისქვეშეთში?

სხვა გამოსავალი არ არის – ჩვენ უნდა დავადგეთ იმ გზას, რომელიც საქართველოსკენ მიდის. ამის გაკეთება კი სააკაშვილის დროშით, სააკაშვილის ჰიმნით, სააკაშვილის გერბით, სააკაშვილის კონსტიტუციით შეუძლებელია.

## ლია ელიავა:



სანამ ეროვნულ ბანკში სავალუტო ფონდის მიერ გამოზრდილი ვირთხები დარბიან, ლარს არაფერი ეშველება



## რატომ უხდის საქართველო კომპენსაციას სომხურ ეკლესიას საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზარალისთვის?

# ვახტანგ ხარჩილავა:
# გზა საქართველოსკენ



**ქვეყანაში ბევრი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა გადასაწყვეტი. გამომდინარე აქედან, შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ საკითხები, რომლებზეც ამ წერილში მინდა ვისაუბრო, შედარებით მეორეხარისხოვანია და მათზე მსჯელობა შეიძლება სამომავლოდაც გადაიდოს, თუმცა ჩემი აზრით, ეს ის საკითხებია, რომლებითაც იწყება საერთოდ სახელმწიფო.**




2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები არ ყოფილა პოლიტიკური პარტიების ჩვეულებრივი პოლიტიკური შეჯიბრი ამომრჩეველთა ნდობის მოსაპოვებლად და პარლამენტში მოსახვედრად.

ფაქტობრივად, ეს იყო ომი შინაური დამპყრობლების მიერ დაპყრობილი საქართველოს დასახსნელად და გასათავისუფლებლად.

არაფერს არ ვაჭარბებ და არაფერს არ ვაზვიადებ – „ნაციონალური მოძრაობა“ 9 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანას ექცეოდა როგორც დამპყრობელი, როგორც საეგზეკუციო-სადამსჯელო დესანტი, რომელიც სასტიკი მეთოდებით უსწორდებოდა საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას.

გამომდინარე აქედან, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ ბრძოლას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი შინაური დამპყრობლების წინააღმდეგ.

ამ ომს ჰყავდა თავისი გმირი, თავისი მთავარსარდალი ბიძინა ივანიშვილის სახით, რომელმაც სიმამაცის, თავგანწირვის, შეუპოვრობის წყალობით თითქმის შეუძლებელი შეძლო და „ნაცმოძრაობა“ დაამარცხა.

ამ გამარჯვებით სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს ცხოვრებაში.

დაიწყო თვისობრივად, შინაარსობრივად სრულიად ახალი ტიპის ქართული სახელმწიფოს მშენებლობა, რასაც უნდა მოჰყოლოდა მკვეთრი და ხისტი გამიჯნვა წინა ხელისუფლების მიერ დატოვებული მემკვიდრეობისგან.

სავსებით ობიექტური მიზეზების გამო, სამწუხაროდ, ამის გაკეთება ვერც მაშინ და ვერც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა, შედეგად კი მივიღეთ ის, რომ დღემდე „ნაცმოძრაობის“ პარტიული დროშა დაგვფრიალებს თავს, რომელიც თავის დროზე მოძალადე „ნაცმოძრაობის“ მიერ სახელმწიფო დროშად იქნა გამოცხადებული.

ამას დავუმატოთ ასევე „ნაცმოძრაობის“ დროს, მისი კარნახით და მისი რედაქციით შექმნილი სახელმწიფო ჰიმნი და სახელმწიფო გერბი.

ყოველივე ეს ერთად აღებული კი ქმნის ილუზიას, რომ „ნაცმოძრაობა“ არ დამთავრებულა, ის კვლავ რჩება იდეოლოგიურ წინამძღოლად, ახალი საქართველოს ავტორად და შემოქმედად, ხოლო „ქართული ოცნება“, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ სახელმწიფო დროშად ნაკურთხი პარტიული დროშის ქვეშ აგრძელებს მოღვაწეობას, თითქოს „ნაცმოძრაობის“ გაგრძელება და მისი ზედნაშენია, რაც, ცხადია, აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ სიტუაცია მაინც ასეთია – თითქოს რაღაც მოდელირებულ, ვირტუალურ აბსტრაქციაში ვცხოვრობთ, საიდანაც თავის დაღწევას ვერა და ვერ ვახერხებთ – **თავზე სააკაშვილის პარტიული დროშა დაგვფრიალებს, ყურში სააკაშვილის სახელმწიფო ჰიმნი გვიგუგუნებს, ტელევიზორს ჩავრთავთ – სააკაშვილია, ქაღალდებს გადავშლით – სააკაშვილის გერბი აქვს დარტყმული.**

**სააკაშვილია თუ მაო ძე დუნი, ან კიმ ირ სენი, ან სულაც ლენინი, ხელისუფალთა ცვლილებების მიუხედავად, მაინც მუდმივად და მარადიულად ჩვენთან რომ არის?**

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ „ქართულ ოცნებას“ გამარჯვებისთანავე ნაციონალების პარტიული დროშა უნდა ჩამოეგლიჯა და მის ადგილას თავისი პარტიული დროშა აღემართა სახელმწიფო დროშად.

სახელმწიფო დროშა ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზაციის გამარჯვების პარალელურად რომ არ უნდა იცვლებოდეს, ფაქტია და „ქართულ ოცნებასაც“ იგივე რომ გაეკეთებინა, რაც „ნაცმოძრაობამ“ გააკეთა, ცხადია, მიუღებელი იქნებოდა, მაგრამ „ქართული ოცნება“ იმაზე კი აუცილებლად უნდა დაფიქრებულიყო, რა დროშა დაგვიტოვა, უფრო ზუსტად, რა დროშა შემოგვაპარა სააკაშვილმა სახელმწიფო დროშად?

**სპეციალისტების აზრით, ამ დროშას არაფერი აქვს საერთო საქართველოსთან. ის არის ტამპლიერების დროშა, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, მაცხოვრის საფლავზე იყო გადაფენილი და რომლის დაცვაც სომეხი მეფეების კვიპროსულ შტოს ევალებოდა.**

მოგვიანებით ეს დროშა მაცხოვრის საფლავიდან გაქრა და რატომღაც სომხური დროშების „კოლექციაში“ ამოჰყო თავი.

აი, ასეთია ამ დროშის მოკლე ისტორია, თუმცა, მოდით, ისტორიასაც თავი დავანებოთ და ერთი კითხვა დავსვათ: რა არის სახელმწიფო დროშის უპირველესი დანიშნულება, რა უმთავრეს ფუნქციას უნდა ასრულებდეს იგი?

რა ფუნქციას უნდა ასრულებდეს და უნდა ასრულებდეს გამაერთიანებლის, შემაკავშირებლის, საერთო იდეის და საერთო ღირებულებების, სიმბოლოს ფუნქციას.

საქართველოში, ანუ ქვეყანაში, სადაც ქრისტიან ქართველებთან ერთად ცხოვრობენ მაჰმადიანი ქართველებიც, ცხოვრობენ მაჰმადიანური რელიგიის სხვა ეთნიკური ჯგუფებიც (სხვათა შორის, საკმაოდ მრავალრიცხოვანი), რამდენად შეიძლება გამაერთიანებლის და შემაკავშირებლის როლი შეასრულოს ხუთჯვრიანმა დროშამ, რომელიც მხოლოდ ქრისტიანული რელიგიის ადამიანებისთვის შეიძლება იყოს მისაღები?

ასეთმა დროშამ შემკავშირებლის და გამაერთიანებლის ფუნქცია კი არა, უფრო მოსახლეობის გახლეჩვის, დაპირისპირების და განცალკევების ფუნქცია შეიძლება შეასრულოს.



**ასეა თუ ისეა, ამ დროშის საქართველოს სახელმწიფო დროშად გამოცხადებაში არის რაღაც ხაზგასმულად პროვოკაციული და ხაზგასმულად გამომწვევი ელემენტები, თუნდაც ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების მიმართ, რომელთა უმრავლესობაში ეს დროშა სწორედ მათ წინააღმდეგ მიმართული ჯვაროსნული ომების უსიამოვნო ასოციაციებს აღძრავს.**

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქართველ მეფეებს ჯვრებით მოხატული დროშა გამოეცხადებინოთ ქართული სახელმწიფოს მეწინავე დროშად, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქართველი მეფეები სააკაშვილზე ნაკლები ქრისტიანები ნამდვილად არ ყოფილან. მიზეზი ამისა კი ის იყო, რომ ისინი უფრთხილდებოდნენ საკუთარ ქვეყანას, ერიდებოდნენ ისედაც აგრესიული მეზობლების კიდევ უფრო გაღიზიანებას და გამოწვევას, ითვალისწინებდნენ იმ გეოპოლიტიკურ მდებარეობას, რომელშიც ქართულ სახელმწიფოს უწევდა არსებობა და ბრძოლა გადარჩენისთვის.

ერთი სიტყვით, ცხადზე ცხადია, რომ საქართველოს სახელმწიფო დროშა აუცილებლად უნდა შეიცვალოს, ხოლო რომელი და რანაირი დროშით უნდა შეიცვალოს იგი, ეს საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, რომ კვლავ იმ სიტუაციაში არ აღმოვჩნდეთ, რომელშიც დღეს ვიმყოფებით.

**საქართველოს სახელმწიფო დროშა, მასთან ერთად საქართველოს ჰიმნი, საქართველოს გერბი რომ შესაცვლელია, ეს არ არის მხოლოდ ამ წერილის ავტორის ახირება, ეს არის საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილის სურვილი, რომელიც ჯერჯერობით შეუსმენელი დარჩა...**

* * *

**XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს ცხოვრებაში ერთი უცნაური ამბავი მოხდა: საქართველოს V მოწვევის პარლამენტმა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფა ამოიღო და მამის სახელიც ზედ მიაყოლა.**

გადაწყვეტილება ისე ოპერატიულად და „კონსპირაციულად“ იქნა მიღებული, რომ პარლამენტის იმდროინდელი წევრები კარგად ვერც კი იხსენებენ, საერთოდ იყო თუ არა ეს საკითხი კენჭისყრაზე დამდგარი და მისცეს თუ არა მათ ხმა ამ „ისტორიულ“ კანონს.

როგორც ჩანს, საკითხი სხვა კანონპროექტების პაკეტში შეაცურეს და ისე გააპარეს.

თუ გავიხსენებთ საზოგადოების უმწვავეს რეაქციას და უკიდურესად უარყოფით დამოკიდებულებას ამ კანონპროექტისადმი, ადვილი მისახვედრია, რაში დასჭირდა პარლამენტის იმჟამინდელ ხელმძღვანელობას ამგვარი ჟონგლიორული ტრიუკები და მანიპულაციები ამ საჩოთირო გადაწყვეტილების დასაკანონებლად.

ასე იყო თუ ისე, საქართველოს მოსახლეობა ფაქტის წინაშე დააყენეს.

კანონ-პროექტის ავტორები ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფის ამოღებას იმით ამართლებდნენ, რომ ბევრ სახელმწიფოში, მათ შორის ევროპულ ქვეყნებში, ეს გრაფა არ არსებობს, თუმცა ეს გარემოება სულაც არ უშლის ხელს ამ ქვეყნებს, შეინარჩუნონ ეროვნული იდენტობა, შეინარჩუნონ ეროვნული ფასეულობები და ღისებულებები.

რაც შეეხება მამის სახელს, „რევოლუციური“ იდეის ავტორები მამის სახელის დაფიქსირებას საერთოდ არაქართულ მოვლენად მიიჩნევდნენ, რომელიც ქართულ სინამდვილეში თურმე რუსული გავლენის შედეგად დამკვიდრდა.

აი, ასეთ თითიდან გამოწოვილ „არგუმენტებს“ აჟღერებდნენ ოფიციალურად ე. წ. რეფორმატორები, ხოლო არაოფიციალურად, კულუარულ

4 გვ. →

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასაკალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# პაატა გიორგაძე:

# საქართველო, წყლის რესურსების ეფექტურად გამოყენებას თუ მოახერხებს, მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა გახდება

## „ბაყბაყდევი“ ხაზარაძე საქართველოს წყლების დაპატრონებას ცდილობს?!



ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ასეთი იოლი საშუალება თუ არსებობდა, შეიძლება, ბევრმა არც იცოდა, მაგრამ იმას, რასაც მეცნიერებათა დოქტორი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, ქვეყნის სწრაფი განვითარების კონცეპცია-პროგრამის – „წყალი – ეროვნული სიმდიდრის“ ავტორი და თანაავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი, ბატონი **პაატა გიორგაძე** მოგვითხრობს, მართლაც გამაოგნებელია.

**– ბატონო პაატა, რამ გიბიძგათ გეფიქრათ „ქვეყნის სწრაფი განვითარების“ გეგმა-კონცეფციის შექმნისკენ?**

– ამ საკითხებზე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ვფიქრობ.

1991 წლიდან საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ცვლილება დაიწყო. მოიშალა ერთიანი ფულად-საკრედიტო სივრცე, დაიწყო წარმოების დაცემა, რასაც მოჰყვა მასობრივი უმუშევრობა.

მაშინ ამეკვიატა აზრი – რითი უნდა იარსებოს დამოუკიდებელმა საქართველომ, რა ფინანსური აქტივები გააჩნია, რა გვაქვს ისეთი, რაზეც ქვეყნის ეკონომიკა შეიძლება „ჩამოეკიდოს“?

მოვიძიე პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოსახლეობის საბანკო დანაზოგების რაოდენობა და აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობას შემნახველ სალაროებში, მაშინდელი მონაცემებით, შეტანილი ჰქონდა 27 მლრდ დოლარის ექვივალენტი რუბლში.

**– რატომ სჭარბობდა ჩვენი შენატანები, ხელმომჭირნე და წინდახედულები ვიყავით თუ თვითონ ქვეყანა იყო ძლიერი?**

– ჩვენი ქვეყანა თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაზე უფრო ძლიერი იყო ეკონომიკურად.

60-იან წლებში, მაგალითად, ხობში, დაფნის ბუმმა ოფიციალური მილიონერები გააჩინა.

აჭარის, აფხაზეთის, იმერეთის, გურიის რეგიონებში ყველა ოჯახს ჰქონდა ციტრუსის ბაღები. პროდუქცია თავისუფლად გადიოდა რუსეთის ბაზრებზე. ამ შემოსავლებით მდიდრდებოდნენ ოჯახები და ეს იყო, სინამდვილეში, თავისუფალი ბიზნესი.

ბიზნესი საქართველოში ინდივიდუალურ, გლეხურ, ფერმერულ მეურნეობებში იმთავითვე იყო ფეხმოკიდებული. ხალხში გაჩნდა კაპიტალი ფულის სახით, მაგრამ მაშინდელმა ხელისუფლებამ ხელი შეუწყო მოსახლეობის გაღატაკებას. კერძო კაპიტალი ბანკებში დააბანდებინეს, ხოლო სახელმწიფო კაპიტალი, ასე ვიტყვი, დასავლური ძალების უშუალო მითითებით, დაანგრიეს, რათა რუსულ ეკონომიკასთან არსებული არტერიები ჩაჭრილიყო...

იმ დროიდან ვფიქრობ – რა უნდა დაედოს საფუძვლად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას?!

გამოვიკვლიე დიდი, სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების საფეხურები და მივედი დასკვნამდე: არც ერთ დიდ სახელმწიფოს წარმატებისთვის არ მიუღწევია საკუთარი ბუნებრივი რესურსების ათვისების გარეშე და აღმოჩნდა კიდევ ერთი რამ: მათ საკუთარი ბუნებრივი მარაგები დააკონსერვეს, დაიწყეს ბრძოლა სხვა ქვეყნების ბუნებრივი რესურსების ხელში ჩასაგდებად.

**– 90-იან წლებში ისმოდა კიდეც იმედიანი განცხადებები – დამოუკიდებელ საქართველოს თუნდაც მარტო ბორჯომი შეინახავსო.**

– მინდა ჩვენმა მოსახლეობამაც სწორად გაიგოს ეს განცხადებები – ეროვნულმა ხელისუფლებამ ზუსტად განსაზღვრა მაშინ ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები.

კვლევების შედეგად მეც იმ დასკვნამდე მივედი, რომ საქართველოს გადაარჩენს წყალი.

წყლის პრობლემა მსოფლიოში დღეს უმწვავესად დგას. მსოფლიოში მილიარდობით ადამიანი სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი. ამას ამტკიცებს გაეროს მოსახლეობის შემსწავლელი კომიტეტი, ადამიანის გენოფონდის შემსწავლელი ორგანიზაციები და სხვები, რომლებიც ამბობენ, რომ 5 მლრდ ადამიანისთვის უკვე დამდგარა დიდი, გლობალური კრიზისი მტკნარ სასმელ წყალზე.

საქართველოს სასმელი წყლები და მიწისქვეშა ჭაბურღილები უნიკალურია მთელ მსოფლიოში. ანუ, რაზეც აქცენტს აკეთებდა ჩვენი ეროვნული ხელისუფლება 90-იან წლებში – სწორი იყო. ჩემს მიერ წარმოებული მაკროეკონომიკური კვლევებიც ადასტურებენ ამას. თუ არ გადავჩეხავთ ტყეებს, გლობალური დათბობის პერიოდშიც, უწყვეტი ციკლით გვექნება ადამიანისთვის აუცილებელი, სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტი, რომელიც ქვეყანას უსწრაფესად გამოიყვანს ეკონომიკური კრიზისიდან და დიდ შემოსავლებს მოიტანს. ეს არის საქართველოს ბუნებრივი, მტკნარი წყალი. მისი რესურსული გამოყენება ქვეყანას არ დააზარალებს. პირიქით.

**– კონკრეტულად რა რესურსს ვფლობთ – ეს არის გამდინარე წყლები თუ ბუნებრივი წყაროები?**

– საქართველოში 26 060 მდინარეა, სულ 59 კმ სიგრძის. 26 060 მდინარიდან 25 კმ-მდე სიგრძის არის 258 მდინარე, დანარჩენი 60 კმ-ზე მეტი. საქართველოში ერთადერთი ტრანზიტულად მომდინარე მდინარე გახლავთ მდინარე მტკვარი, მაგრამ რატომ ვამახვილებ ამაზე ასეთ ყურადღებას?

საქმე ისაა, რომ საქართველოს გააჩნია მსოფლიო მნიშვნელობის ბუნებრივი, ბიოლოგიურად აქტიური მიწისქვეშა გრუნტის წყლები, რომლებიც მთელ დედამიწაზე უნიკალურია.

ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ის ბუნებრივი არეალი, რომელშიც ჩვენი კურთხეული ქვეყანა იმყოფება.

საქართველო ახალ ვულკანურ შრეებზეა აღმოცენებული. ჩვენთან შესაძლებელია, 500-600 მეტრის სიღრმიდან თვით კახეთის რეგიონიდანაც კი უმაღლესი ხარისხის სასმელი წყლის ამოღება.

მოკლედ, მდინარეებს ამ კუთხით, ასე ვთქვათ, ხელს არ ვახლებთ, იმიტომ რომ, მდინარეები არიან პირდაპირი ენერგეტიკული წყაროები, ამიტომ ყურადღებაას გავამახვილებ მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე.

**იოსებ ბუაჩიძე, ლევან ხარატიშვილი, გეიდარ ფალავანდიშვილი, ლევან მახვილაძე** ჰიდროსაინჟინრო დარგის სხვა კორიფეების დასკვნებით ცხადი ხდება, რომ საქართველოში არსებული მიწისქვეშა გრუნტის წყლების დარაიონების სქემა დიდ სახელმწიფო მარაგს შეიცავს, იგი 577 კუბური მეტრ წამია. 1989 წლის შემდეგ ეს მონაცემები არ გადამოწმებულა. ამ რაოდენობიდან გამოსაყენებლად დასაშვები მარაგი 301 კუბური მეტრწამია.

**– 301 კუბური მეტრწამი რამდენი ლიტრი წყალია?**

– ეს არის 26 მლრდ ლიტრი საექსპლუატაციოდ დასაშვები რაოდენობაა დღე-დამეში. პლანეტა დედამიწის მოსახლეობას, მეცნიერული გამოთვლებით, 18,05 მლრდ ლიტრი წყალი სჭირდება დღე-ღამეში.

26 მლრდ-ს გამოვაკლოთ 8,05 მლრდ. დაგვრჩა 7,05 მლრდ ლიტრი სასმელი წყალი, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ გაგვაჩნია მსოფლიო მნიშვნელობის რესურსული პოტენციალი.

**– ბატონო პაატა, ეს იცის მსოფლიომ? დავღუპულვართ და ეგაა...**

– ამის შესახებ აშშ-ის სპეციალისტები უკვე კარგა ხანია ლაპარაკობენ. დასკვნები ამერიკის შესაბამისი ორგანიზაციებიდან მივიღეთ.

**– რომელიმე მთავრობას თუ ესაუბრეთ თქვენი მეცნიერული კვლევებისა და ქვეყნის პერსპექტივების შესახებ?**

– 2007 წელს **სააკაშვილმა** მიგვიწვია მე და ბატონი **თამაზ გამყრელიძე**, ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი. იგი დავარწმუნეთ, რომ ეს იყო ქვეყნის გადარჩენის რეალური პერსპექტივა, მაგრამ შემდეგ ამ საქმეში ჩაერია გიორგი არველაძე, რომელიც აქედან მხოლოდ პირადი გამდიდრების პერსპექტივამ მოხიბლა. მე ამაზე არ დავთანხმდი და მას შემდეგ მძიმე რეპრესიები განხორციელდა ჩემზე და ჩემს ოჯახზე.

**– შემდეგ?**

– შემდეგ, 2012 წლის გაზაფხულზე ბატონ **ბიძინა ივანიშვილს** შევხვდი. ყველაფერ ამას გაეცნო მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც. მაგრამ საქმე „სადღაც“ გაჩერდა და **ირაკლი ღარიბაშვილის** გადაგომის მერე ყველაფერი მიჩუმდა. სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის სახელმწიფო საბჭო **ნოდარ ჯავახიშვილის** მინისტრობის პერიოდში საერთოდ გაუქმდა. შეწყდა სასმელი წყლის ინდუსტრიაზე საუბარი. ქვეყანამ დაკარგა 10-ობით მილიარდი დოლარი.



4 გვ.

# გზა საქართველოსკენ

2 გვ.

საუბრებში საიდუმლოდ გაგიმხელდნენ, რომ ეს ყველაფერი პატრიოტული მოსაზრებებით კეთდებოდა, რომლის მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების, განსაკუთრებით, სომხების და აზერბაიჯანელების, ქართულ სახელმწიფოში ინტეგრაციის პროცესების დაჩქარება.

ამას რომ ამბობდნენ, ამ „პატრიოტ" „ჭკუის კოლოფებს" ერთი „უბრალო" და „უმნიშვნელო" დეტალი გამორჩათ: – **სომეხს და აზერბაიჯანელს ეროვნებას რომ ამოუშლი, ამით მათ ბევრი არაფერი აკლდებათ, რადგან აგერ, ორ ნაბიჯზე, არსებობს სახელმწიფოები, სადაც სომეხი სომეხად იწერება და აზერბაიჯანელი აზერბაიჯანელად, მაგრამ დედამიწის ზურგზე სხვაგან არსად არის სხვა საქართველო, სადაც ქართველები ქართველ ერად იწოდება.**

ჩვენ, ქართველებს, სომხებისა და აზერბაიჯანელებისგან განსხვავებით, არ გვაქვს სხვა „სათადარიგო", რომ ამ საქართველოში ეროვნებაამოშლილებმა და ეროვნებაწართმეულებმა სხვა საქართველოში შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნული იდენტობა.

**პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფის ამოღებით ქართველი ერი საერთოდ ამოიფხიკა მსოფლიოს ხალხთა სიიდან.**




ამ „ისტორიული" გადაწყვეტილების წყალობით, ჩვენ, ქართველები, როგორც ერი, დოკუმენტურად, სამართლებრივად, იურიდიულად, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ ვარსებობთ.

– სამაგიეროდ, არც სხვები არსებობენ... ჩვენ დღეს ყველანი საქართველოს მოქალაქეები ვართ! – ამაყად შემეპასუხება, ალბათ, რომელიმე „პატრიოტი" „ჭკუის კოლოფი".

თექვსმეტი წელი გავიდა, რაც ჩვენ, ყველანი, რომლებიც არავინ არ ვართ, საქართველოს მოქალაქეები ვართ, მაგრამ ამ თექვსმეტი წლის განმავლობაში რაიმე იოტისოდენა მაინც თუ შეიცვალა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ქართულ სახელმწიფოში ინტეგრაციის მიმართულებით?

**ქართული სახელმწიფოო, კი ვთქვით, მაგრამ რატომ, რა განსაკუთრებული ნიშნით შეიძლება ამ სახელმწიფოს ქართული, ანუ ქართველების სახელმწიფო ეწოდოს, მაშინ, როცა ამ სახელმწიფოში პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს თუ დავუჯერებთ, ქართველები არ ცხოვრობენ?**

მაშინ რა ინტეგრაციაზე, ვისთან ინტერგაციაზე „ვუნამიოკებთ" ჩვენსავით ეროვნებაწართმეულ ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს?

სამართლებრივად, კონსტიტუციურად მოწესრიგებული რომელიმე უცხო ქვეყნის მოქალაქე რომ გახდე, აუცილებელია, კომპეტენტური კომისიის წინაშე გამოცდები უნდა ჩააბარო, სადაც უნდა გაირკვეს, სრულყოფილად ფლობ თუ არა ამ ქვეყნის სახელმწიფო ენას, სრულყოფილად იცნობ თუ არა მის ისტორიას, მის კონსტიტუციას და ა. შ.

აი, ასეთ სტანდარტებს მოითხოვს მოქალაქის სტატუსის მიღება.

რა ხდება ამ მხრივ საქართველოში?

რა ხდება და არაფერი – შეიძლება ადამიანი იყოს საქართველოს მოქალაქე და არ იცოდეს საქართველოს სახელმწიფო ენა, არ იცოდეს საქართველოს ისტორია და, საერთოდ, ძალიან ბუნდოვანი და ზერელე წარმოდგენა ჰქონდეს იმ ქვეყანაზე, რომლის მოქალაქეც არის.

გულწრფელნი თუ ვიქნებით, ეს იმ მოქალაქის ბრალი კი არა, ამ სახელმწიფოს ბრალია, რომელიც ვერ ახერხებს ეფექტურად აამუშაოს ის ბერკეტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ადამიანებს, იქცნენ იმ ქვეყნის ჭეშმარიტ მოქალაქეებად, სადაც დაიბადნენ, ცხოვრობენ და სადაც მათი მამა-პაპა მარხია.

ინტეგრაციაზე ვსაუბრობთ და ამ დროს, ინტეგრაცია კი არა, თუ ობიექტურად შევაფასებთ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, აღმოვაჩენთ, რომ პატარ-პატარა ეთნიკურ „ავტონომიებად" დაქსაქსულნი, უხილავი საზღვრებით გამოყოფილნი ერთმანეთისგან, ერთად კი არა, ცალ-ცალკე „რეზერვაციებად" ვცხოვრობთ.

რას ვაკეთებთ ჩვენ, ქართველები, ამ კარჩაკეტილობის, თვითიზოლაციის, უსიყვარულობის და უნდობლობის უხილავი გალავნების მოსაშლელად?

რას ვაკეთებთ და გალავნების მოშლის ნაცვლად ჩვენ თვითონაც გალავანს ვიშენებთ გარშემო, რომ ჩვენს ქართულ „ციხე-სიმაგრეში" არავინ შემოგვეპაროს...

**იმაზეც ხომ უნდა დავფიქრდეთ, საქართველოში რომ ვეპატიჟებით ჩვენს ძმებს – აფხაზებს და ოსებს, რომელ საქართველოში ვეპატიჟებით, იმ საქართველოში, სადაც საქართველოს მოქალაქის სტატუსს კი მივანიჭებთ, მაგრამ სანაცვლოდ აფხაზობას და ოსობას „ვართმევთ"?**

გავა დრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფის ამოღება შეიძლება საქართველოს ძალიან ცუდად შემოუტრიალდეს იმ ეთნიკური ჯგუფებისგან, რომელთა რაოდენობა ზოგისა 300 000-ია, ზოგისა – ნახევარი მილიონი.

აი, ამ სამასი ათასსა თუ ნახევარ მილიონს, ერთ მშვენიერ დღეს ხომ შეიძლება ასეთი კითხვა დაებადოს – რატომ არის საქართველოს სახელმწიფო ენა მხოლოდ და მხოლოდ ქართული და ქართულის პარალელურად რატომ არ არის ის ენებიც, რომლებზეც სამასი ათასი თუ ნახევარი მილიონი ადამიანი ლაპარაკობს?

ამ კითხვამ, რატომღაც, სინგაპური გამახსენა, სააკაშვილი საქართველოს ნაცვლად რომ გვიშენებდა.

სინგაპურში, რამდენადაც ვიცი, ათი სახელმწიფო ენაა...

**სწორედ ქართული სინგაპურის საშენებლო მოედნის მოსუფთავებამომზადებას ხომ არ ემსახურებოდა პირადობის დოკუმენტებიდან ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის ამოშლა, რითაც, პირველ ყოვლისა, ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელი ერი, ქართველი ერი, დაზარალდა.**

სინგაპურის მშენებლობის იდეა ჩაიშალა...

მადლობა ღმერთს, ახლა საქართველოს ვაშენებთ, მაგრამ როგორ გამოგვივა ეს საქმე, როცა საქართველოს მეხუთე მოწვევის პარლამენტის გადაწყვეტილების შემდეგ ისიც კი არ ვიცით დანამდვილებით, საერთოდ ვარსებობთ თუ არა ამ მზისქვეშეთში?

სხვა გამოსავალი არ არის – ჩვენ უნდა დავადგეთ იმ გზას, რომელიც საქართველოსკენ მიდის. ამის გაკეთება კი სააკაშვილის დროშით, სააკაშვილის ჰიმნით, სააკაშვილის გერბით, სააკაშვილის კონსტიტუციით შეუძლებელია.

# საქართველო, წყლის რესურსების ეფექტურად გამოყენებას თუ მოახერხებს, მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა გახდება

3 გვ.

– **მიზეზი?**

– ჯავახიშვილი უცნაური კაცია. ცოტა ჯიუტი გახლავთ. ამიტომ რაიმეს კითხვას აზრი არ ჰქონდა. ფაქტი ის იყო, რომ ვიღაცის უხილავმა ხელმა აღკვეთა, საერთოდ, ამ თემაზე საუბრის შესაძლებლობაც კი.

– **ამ საქმესთან დაკავშირებით ბიზნესმენის, ბანკირის მამუკა ხაზარაძის სახელმაც გაიჟღერა.**

– **მამუკა ხაზარაძის** სახელთან უამრავი უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქის ბედიც არის დაკავშირებული, მას ძალიან ცუდი საქმეები აქვს ნაკეთები ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან.

ხაზარაძის ბანკი სადამსჯელო, ვანდალურ ქმედებებთან არის დაკავშირებული.

მინერალური წყალი „ბორჯომის" ჩამოსხმის ლიცენზირება მისი პრეროგატივა გახდა. მონოპოლიზებულია ყველაფერი ერთი კაცის მიერ. ბორჯომის ხეობის მოსახლეობა აბსოლუტურად უმუშევარი დარჩა, ხალხის სიმდიდრე კერძო საფინანსო ინსტიტუტების ხელშია მოქცეული.

თბილისის წყალმომარაგების სისტემები, ჟინვალის წყალსაცავი, გავარკვიეთ, რომ იყო ერთ-ერთი უცხოური კომპანიის საკუთრება, სააკაშვილის ხელისუფლებამ უცხოელ, კერძო ინვესტორს მიჰყიდა ეს აქტივი. ეს უცხოური კომპანია, ერთ-ერთი ბანკის მეშვეობით დაუბრუნდა სახელმწიფოს, მაგრამ შემდეგ მოხდა ის, რომ თბილისის წყალმომარაგების კომპანია შეერწყა „თი-ბი-სი" ბანკს თავისი აქციებით, ანუ „ჯორჯია უოთერ ენდ პაუერი" შეისყიდა „თი-ბი-სი" ბანკმა.

– **თბილისის წყალმომარაგება დღეს „თი-ბი-სი" ბანკის ხელშია?**

– კი, ბატონო.

– **ანუ თქვენ როგორც ბრძანეთ – საქართველოს გრუნტის წყლები, რომლითაც ქვეყანას ძალიან დიდი ეკონომიკური პერსპექტივა უჩნდება, შეიძლება, მამუკა ხაზარაძის ხელში აღმოჩნდეს?**

– ასეა.

თუმცა მე დიდი იმედი მაქვს ბიძინა ივანიშვილის, რომელმაც ქვეყანა გარდაუვალი დაღუპვისგან იხსნა. დარწმუნებული ვარ, ბატონი ბიძინა არ დაუშვებს იმას, რომ ქვეყნის განვითარების და გადარჩენის პერსპექტივა ხაზარაძეების ხელში იყოს.

ივანიშვილმა იცის შრომის ფასი, იცის ქვეყნის სიყვარულის ფასი და მართლაც წყალში არ გადაყრის ჩვენი ქვეყნის მომავლის პერსპექტივას.

– **როდის გადავიდა „თი-ბი-სი"-ს ხელში, თუ იცით?**

– რამდენადაც ვიცი, 2-3 თვის წინ მოხდა ეს ამბავი. შერწყმა მოხდა იმ ბანკის „თი-ბი-სი"-სთან.

სადაც კი წყლის საკითხი, ასე ვთქვათ, გაფაჩუნდება, ჩათვალეთ, რომ ხაზარაძე იქ არის.

ორიოდე წლის წინ შეზღუდეს მისი პარპაში, მაგრამ ახლა კვლავ ფრთები გაშალა და რატომღაც ახლა მის სასარგებლოდ წყდება ყველაფერი.

რაც შეეხება ბანკებს, ცუდად ერევიან ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკაში.

ვიღაცამ წერტილი უნდა დაუსვას ამას, თორემ ქვეყანას მალე მწარედ მოუბრუნდება ეს ამბავი.

ხაზარაძემ „გადაყლაპა" მსხვილი, ქვეყნისთვის საჭირო ობიექტები. მისი მოქმედების სტილია – შეიძენს ობიექტს, მერე ავერანებს, ფუნქციას უკარგავს და თავის სასარგებლოდ იყენებს – ანგრევს, სახეს უცვლის, უინტერესოს ხდის ობიექტს და ალბათ, მერე მის ადგილას კორპუსს ააშენებს ან რაღაც კერძო ინტერესის ობიექტს...

მე მეცნიერი კაცი ვარ. აღშფოთებული გახლავართ ხაზარაძის მიერ დაფინანსებული ლიტერატურული კონკურსი „საბას" ნომინაციებით. აბსოლუტურად მდარე და ზნეობრივად წამხდარ ნაწარმოებებს აჯილდოებენ და ხაზარაძე ფულს იხდის ამაში.

იმის გარდა, რომ ქვეყნის მატერიალურ რესურსს იგდებს ხელთ და ანადგურებს, სულიერ ფასეულობებსაც მიადგა და უმოწყალოდ რყვნის დიდი სულხან-საბას სახელით...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# სანამ ეროვნულ ბანკში სავალუტო ფონდის მიერ გამოზრდილი ვირთხები დარბიან, ლარს არაფერი ეშველება

გვესაუბრება საბანკო საქმის ექსპერტი, პროფესორი ლია ელიავა:

**— ქალბატონო ლია, ლარის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით, მოსახლეობა დაბნეულია, რადგან მთავრობის, „ეროვნული ბანკისა“ და ექსპერტების მოსაზრებები არ ემთხვევა ერთმანეთს. რა ხდება რეალურად, სადამდე მიგვიყვანს ეს ვითარება?**

— სიტუაცია საკმაოდ მძიმეა, ბიზნესიც და მოსახლეობაც, ვალუტის კურსზე, ძალიან მწვავედ რეაგირებს. განსაკუთრებით კი, იმაზე, რომ არც „ეროვნული ბანკი“ და არც მთავრობა სიტუაციის დასასტაბილურებლად სათანადო ზომებს არ იღებენ. ყველას ძალიან ცუდი მოლოდინი აქვს, სიტუაცია უარესობისკენ მიდის. ამ დროს, მთავრობა და „ეროვნული ბანკი“ ამ მოლოდინების გაქარწყლებას, საიმედო სიტყვის თქმას არც ცდილობენ. შესაბამისად, პანიკა ნებისმიერ სფეროში იგრძნობა, განსაკუთრებით, საფინანსო სექტორში. ის, რომ ლარის კურსი ასე მკვეთრად დავარდა, ეს ბიზნესის პანიკის ნიშანია. ბიზნესი პანიკაშია და შედეგად, ფული ქვეყნიდან გააქვს. თუ აღნიშნული სიტუაცია დროზე არ დარეგულირდა, შედეგები უმძიმესი იქნება როგორც ეკონომიკისთვის, ისე ფიზიკური პირებისთვის.



**— ვითარება მართლაც საგანგაშოა, ხომ არ ჰქონია ხელისუფლებას მცდელობა თქვენ, როგორც სპეციალისტს შეგხიანებოდათ და სათანადო რჩევები მიეღო?**

— ხელისუფლებაში მოხვედრის შემდეგ ეტყობა ასეთი სინდრომი ჩნდება, რასაც ყველაფრისმცოდნეობა ჰქვია. ანუ, როდესაც ადამიანს ხელში ძალაუფლებას აძლევენ, მას ჰგონია, რომ მისი სიტყვა და ნააზრევი ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებაა და ამ დროს, სხვისი აზრი უკვე აღარ აინტერესებს. იმიტომაც არის, რომ ხელისუფლება კვალიფიციური სპეციალისტების მოსაზრებებით საერთოდ არ ინტერესდება. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ეკონომიკას არ ეხება, არამედ სხვა სფეროებსაც. შესაბამისად, ხელისუფლების მხრიდან ექსპერტების, მეცნიერების მოსაზრებებით დაინტერესება, პრაქტიკულად, ნულოვანია.

თუ ხელისუფლებას გააჩნია სურვილი სპეციალისტებს მოუსმინოს, მაშინ შექმნას რაღაც სათათბირო ორგანო, ან გამოცდილი ხალხი მრჩევლად აიყვანოს ან რაღაც ფორმა გამონახოს და ამ სფეროში მოხარშულ ადამიანებს, რომელთაც დეტალურად იციან ყველაფერი ჰკითხოს — შეიძლება თუ არა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება, რა შედეგი მოჰყვება ამას, რა იქნება 1-3-5 წლის მერე მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგი, რა დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს ყოველივეს და ა.შ. სამწუხაროდ, ეს აკლია ხელისუფლებას — გააზრება და იმის სითამამე, რომ რჩევა სხვას ჰკითხოს და მერე ეს გაითვალისწინოს.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია ლარიზაციით ლარის დასტაბილურება, ეს გეგმა რამდენად შეუწყობს ლარის გამყარებას ხელს?**

— ქვეყნის ლარიზაცია, ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი ღონისძიება. თუ მთავრობას კონკრეტული გეგმა აქვს შემუშავებული, მაშინ მისი წერილობითი ვარიანტი წარმოადგინოს იმიტომ, რომ ზეპირსიტყვიერება არაფრის მომცემია, მით უმეტეს, მაშინ როცა პრემიერი ერთს ამბობს, ფინანსთა მინისტრი მეორეს და „ეროვნული ბანკი“ მესამეს. მათ ნალაპარაკებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებებია, ამიტომ უპრიანი იქნებოდა მთავრობისა და „ეროვნული ბანკის“ ერთი დოკუმენტის შეჯერებული ვარიანტი გვეხილა. პირდაპირ გამოაქვეყნონ დოკუმენტი და ხალხი უკეთ გაიგებს, რაზეა ლაპარაკი. ერთჯერადი აქციები — გაურკვეველი პირობებით, მომავლითა და პერსპექტივებით დოლარის სესხის ლარში გადაყვანა, მოსახლეობისთვის სახარბიელო სულაც არ არის. რატომ არის აღებული მხოლოდ 2015 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, რას ნიშნავს 100-200 ათასამდე სესხის ლარში გაცემა, რას აპირებს მთავრობა თუ მოსახლეობას ვინც სესხის მომსახურება დოლარიდან ლარში გადაიყვანა, სესხი კიდევ უფრო გაუძვირდება?! რამდენად იღებს მთავრობა საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში თუ მერე ხალხი შემოუტრიალდება და ეტყვის: — დოლარში უფრო იაფი მიჯდებოდა გადახდა, ვიდრე ახლა, ლარშიო. სად მიდის მერე მთავრობა, რა იქნება მისი მომდევნო ნაბიჯები? აქვთ ეს ყველაფერი ბოლომდე გაანგარიშებული, გააზრებული?



**— ქალბატონო ლია, იზრდება აქციზები თამბაქოზე, ნავთობპროდუქტებზე და ა.შ.**

— რაც შეეხება აქციზების ზრდას, მათ შორის, ავტომობილების განბაჟებაზე, ნავთობპროდუქტებზე, თამბაქოზე, მინდა გითხრათ შემდეგი — 2017 წელი სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მწვავე დეფიციტიანი იქნება და ეს დეფიციტი არ შემოიფარგლება მხოლოდ 600 მილიონი ლარით, როგორც ამას ფინანსთა სამინისტრო ვარაუდობს. წარმოიშობა ბევრად უფრო დიდი დეფიციტი, ვინაიდან მოგების გადასახადს საერთოდ არავინ გადაიხდის. მისი რეინვესტირების გაფორმება, ბუღალტრულად, ძალიან ადვილია, კერძოდ, ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა მკვეთრად გამოიწვევს სხვა სახის პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასების ზრდას. შემოსავლების უცვლელობის პირობებში მოსახლეობას იმდენი საშულება არ ექნება, რომ საკმარისი ოდენობით საქონელი და მომსახურება მოიხმაროს. ანუ, მოხმარების შემცირება მოხდება. მოხმარების შემცირების პროცესი უკვე ახლაც მიმდინარეობს. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს დააზარალებს თვით ბიზნესმენებს, რომელთაც გაყიდვები შეუჩერდებათ. ბიზნესმენების დაზარალება გამოიწვევს მათ მიერ დაქირავებული მუშებისთვის ხელფასების ზრდაზე უარის თქმას, შესაძლოა, სახლში გაშვებასაც, ანუ უმუშევრობის ზრდას, რაც ყველა მაკრო-ეკონომიკურ პარამეტრს აფუჭებს. შესაბამისად, მთავრობას ეს ელემენტარული გათვლები რომ ჰქონოდა, შეიძლება ასეთი უცნაური საგადასახადო გადაწყვეტილებები გადაეფიქრებინა კიდეც.

**— ანუ, ეს პრობლემა მთავრობის ამ საკითხისადმი უცოდინარობის შედეგია?**

— დიახ, მათ არ იციან როგორ მოიქცნენ კონკრეტულ შემთხვევაში. მათ აინტერესებთ მხოლოდ მიმდინარე პრობლემები — რა გააკეთონ დღეს, ხოლო რა შედეგი დადგება ხვალ ან ზეგ, ეს გააზრებული არ აქვთ.

**— ქალბატონო ლია, ჩვენ წინა ინტერვიუში ვახსენეთ, რომ მთლიანად ბლუმბერგის სისტემაზე ვართ მიბმული. რეალურად, რაზეა ეს ყოველივე დამოკიდებული — ეკონომიკაზე თუ ბანკების კეთილსინდისიერებაზე?**

— კომერციული ბანკები წელიწადში, საშუალოდ, 11-13 მილიარდი დოლარით ვაჭრობენ. მაგალითად, ოქტომბრის თვის მდგომარეობით კომერციულმა ბანკებმა 13 მილიარდი დოლარი ივაჭრეს. აქედან, მეტი წილი სავაჭრო ბრუნვა უცხოელებთან უცხოურ ვალუტაში მოდის. ლარი ქვეყანაში ძალიან ცოტაა. აქ, ლარს არავითარი როლი არ აკისრია. რაც არ უნდა გაიზარდოს ლარის მასა, ვთქვათ, გაორმაგდეს, ის დოლარის კურსზე მაინც ვერანაირად ვერ იმოქმედებს იმიტომ, რომ დოლარის და ლარის — ამ წყვილის კურსის ფორმირება ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე დამოკიდებული არ არის. ყველა კომერციულ ბანკს რომელიც იმპორტიორებს ემსახურება საქონლის შემოტანაზე და თანხის უცხოეთში გადარიცხვებზე, მათ, მთელი წლის განმავლობაში, დაახლოებით, გაანგარიშებული აქვთ თუ რა თანხები დასჭირდებათ. ამ თანხებზე, მათ, პრობლემა არ აქვთ. პრობლემა სხვა რამეშია: უეცრად, როდესაც ტალღა წამოვა და ქვეყნიდან ფულის გადინება ხდება, ამ მომენტში კომერციულ ბანკებს არ აქვთ ფული, რათა კლიენტის თანხები უცხოეთში გაიტანონ და აი, სწორედ ამ დროს ხდება დოლარზე მოთხოვნის სწრაფი ზრდა, რაც ლარის კურსის ვარდნას იწვევს. „ეროვნულ ბანკს“ ეს უცნაური მექანიზმი ჩადებული აქვს ლარის კურსის ფორმირების მეთოდოლოგიაში. ამიტომ, ვამბობ, ლარის კურსის ფორმირების მეთოდოლოგია, უნდა შეიცვალოს.




**— ქალბატონო ლია, ხუთშაბათს დაფიქსირებულმა ლარის კურსმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „ეროვნული ბანკი“ კი ამ დროს ყველაფერს პანიკას აბრალებს.**

— თქვენ, გინახავთ პანიკა, სავალუტო ჯიხურებთან ჩამწკრივებული რიგები? არა, ხომ? მაშ, სად იყო ეს პანიკა? ეს პანიკა იყო საფინანსო, ბიზნეს წრეებში. ჩვენ, ამ შემთხვევაში რისი გაკეთება შეგვიძლია? — არაფრის. ეს ისევ და ისევ მთავრობისა და „ეროვნული ბანკის“ მოსაწესრიგებელი და გასარკვევია — რატომ გაიქცა კაპიტალი ქვეყნიდან, რატომ იყო პანიკა, რისი შეეშინდათ ბიზნესმენებს — ჩვენი ფიზიკური პირების თუ „ეროვნული ბანკისა“ და მთავრობის გადაწყვეტილებების.

**— ამ დროს არ უნდა დაინტერესდეს საგამოძიებო სამსახურები?**

— ამით, პირველ რიგში, პარლამენტი უნდა დაინტერესდეს, მაგრამ იგი, ამ საკითხით, არ დაინტერესდება. როგორც ხედავთ, „ეროვნული ბანკის“ საბჭოში ისეთი კაცი დატოვეს, რომელიც აქამდე, ქვეყნის ეკონომიკას ანგრევდა და ახლა, კიდევ გააგრძელებს ნგრევას.

თამარ შველიძე
555 23 28 24

# როგორ იმოქმედებს ვიზალიბერალიზაცია საქართველოს დემოგრაფიულ პრობლემაზე და შეიცვლება თუ არა გეოპოლიტიკური ვითარება კავკასიაში?

**ამასწინათ, ერთი ჭკუის საკითხავი კაცი წერდა - რა მარიხუანას თესვა და კომბლეს ზღაპრები აგიტყდათ, ერს ფიზიკური გაქრობის საფრთხე უდგასო. მართლაც, შობადობის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 196 ქვეყანას შორის 164-ე ადგილზეა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის კვლევის მიხედვით, საქართველოს, რომელიც დემოგრაფიული თვალსაზრისით, მსოფლიოს ყველაზე უპერსპექტივო ერების სიაში იმყოფება, 2050 წლისთვის მოსახლეობის 28%-იანი კლება ელის. მოცემულ რეალობაში, როგორ აისახება საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებაზე ვიზალიბერალიზაციის პროცესი, ელის თუ არა ცვლილება კავკასიაში გეოპოლიტიკური ვითარებას და რა ზომებს მიმართავს სახელმწიფო კატასტროფის თავიდან ასაცილებლად? „საერთო გაზეთს“ „დემოგრაფიული აღორძინების ფონდის“ თავმჯდომარე თამარ ჩიბურდანიძე ესაუბრა:**

— საქართველოს დემოგრაფიული პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით 90-იანი წლებიდან დაუდგა. შიდა კონფლიქტებმა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ომებმა ქვეყანაში მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა შექმნა და მიგრაციის უდიდესი ტალღა გამოიწვია, რომელიც დღემდე გრძელდება. ქვეყნიდან ძირითადად, რეპროდუქციული ასაკის ხალხი გადიოდა, რასაც ბუნებრივია, შობადობის კლება მოჰყვა და 2005 წლისთვის შობადობა განახევრდა. როცა ვამბობთ, რომ 2020 წლიდან ქვეყანაში დემოგრაფიული კრიზისი დაიწყება და 2050 წელს პიკს მიაღწევს, დემოგრაფიულ გათვლებს ვეყრდნობით, რომლებიც ძირითადად, დაბადებული გოგონების რაოდენობას მიჰყვება. აქედან გამომდინარე, 90-იან წლებში საქართველოში 500 000 გოგონა გაჩნდა, ხოლო 2000-იან წლებში განახევრდა და 250 000-მდე ჩამოვიდა. 2000-იან წლებში დაბადებული გოგონები დედობის ასაკში 2010 წლიდან შედიან ბუნებრივია, სახეზე გვაქვს განახევრებული შობადობა.

— **ახალშობილი გოგონების რაოდენობის განახევრება სელექციურ აბორტებს ხომ არ უკავშირდება?**

— რა თქმა უნდა, სელექციური აბორტები ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია, მაგრამ სხვა მიზეზებიც არსებობს.. განახევრებული დედების რაოდენობა განახევრებული შვილების რაოდენობას ნიშნავს. აი, ამიტომ იწყება 2020 წლიდან უფრო სწორად, 2018 წლიდან კრიზისი. ჩვენ დღეს ხელისუფლებასთან ერთად, აქტიურად ვმუშაობთ დემოგრაფიულ პრობლემებზე. ძალიან ბევრი საჭირო ინიციატივა განვახორციელეთ და კარგი ცვლილებები მივიღეთ, მაგრამ კრიზისი, რომელიც 2020 წლიდან დაიწყება, გარდაუვალია და ვეღარაფერი შეცვლის.

2006-დან 2010 წლამდე შობადობამ იმატა და იმატა ერთადერთი მიზეზით - ეს იყო პატრიარქის ინიციატივა, თუმცა, 2010 წლიდან კვლავ დაიწყო კლება, რადგან ნებისმიერ ინიციატივას სახელმწიფოს დახმარება ჭირდება. თუმცა, უწმინდესის ინიციატივის ინერცია დღემდე მოგვყვება.

— **დემოგრაფიაზე მომუშავე ორგანიზაციებისა და მათ შორის, თქვენი ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის დაბერება აქტიური ტემპებით მიმდინარეობს. ამ პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე და მოსალოდნელ შედეგებზე რას გვეტყვით?**

— ერის დაბერება ნეგატიური მოვლენა არ გახლავთ, რადგან სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდაზე მიუთითებს. საქართველოში პენსიონერთა რაოდენობის ზრდას ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს: პირველი ისაა, რომ ჯანდაცვის პროექტების შედეგად, საქართველოში სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა. მეორე და ძირითადი მიზეზია, რომ 60-იან წლებში დაბადებული ახალშობილები ახლა შედიან საპენსიო ასაკში. 60-იან წლებში კი საქართველოში შობადობის ბუმი იყო და თითქმის მილიონ ნახევარი ბავშვი დაიბადა. შესაბამისად, მომავალ წლებში პენსიონერთა რაოდენობის კიდევ მეტად ზრდას ველით, რაც ძალიან კარგია, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს ძალიან მძიმე ტვირთად დააწვება სახელმწიფოს, რადგან მწარმოებელი ფენა, რომელმაც პროდუქტი უნდა შექმნას, ქვეყნიდან გასულია.

— **როგორ აისახება კრიზისის წინაშე მდგარი ქვეყნის დემოგრაფიულ სურათზე სანატრელი ვიზალიბერალიზაცია, რომელსაც ყველა გათვლებით, უახლოეს ხანებში მივიღებთ?**

— ვიზალიბერალიზაცია დემოგრაფიულ სურათზე ნამდვილად უარყოფითად აისახება. ჩვენ ვიყავით ბულგარეთში, სადაც ძალიან მაღალი რანგის პოლიტიკოსებს შევხვდით და მათ აღნიშნეს, რომ როგორც კი ბულგარეთი ევროკავშირში შევიდა და ვიზალიბერალიზაცია მიიღო, ამას ყველაზე დიდი მიგრაციის ტალღა მოჰყვა და ფაქტობრივად, ერი „მოცელა“. ბულგარეთის სახელმწიფო ბიუჯეტი დემოგრაფიული პრობლემის მოსაგვარებლად, უზარმაზარ თანხას ხარჯავს, მაგრამ მიგრაციას ვერ აკავებენ.

საქართველოში ძალიან მალე შემოვა კანონი მიგრაციის შესახებ - მსხვილი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც თითქმის ერთი წელი მზადდებოდა. შეიძლება ჩვენ ვერ შევაჩეროთ მიგრაცია, რომელიც დღეს ყველაზე დიდი დემოგრაფიული პრობლემაა, მაგრამ ჩვენ უნდა შევაჩეროთ მისი თანმდევი უარყოფითი პროცესები. იმედი მაქვს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისებით და მთის კანონის კარგად ამოქმედებით, ქვეყანაში მშრომელი ხალხის დაკავებას შევძლებთ. სხვათა შორის, ხალხი, რომელიც 90-იან წლებში ქვეყნიდან გავიდა, უკან ბრუნდება, თუმცა ისინი უკვე სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან და იმ ქვეყნის პენსია აქვთ. ჩვენ მიგრაციის კონცეფციაში და პოლიტიკის განსაზღვრაში ჩავდეთ და ეს გაეროს მოსახლეობის ფონდის რეკომენდაციაც იყო, რომ უკან დაბრუნების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეს უცხო ქვეყნის პენსია უნდა გადმოყვეს. ეს თანხა საქართველოში დაიხარჯება, თანაც პენსიონერებს აუცილებლად ჩამოყვებიან შვილები და საქართველოში კერას გააღვივებენ.

— **რა გავლენას ახდენს სელექციური და ზოგადად, აბორტების რაოდენობა დემოგრაფიულ სურათზე?**

— ცნობილი დემოგრაფის - ანზორ თოთაძის ინიციატივით, ჩავატარეთ კვლევა, რომელშიც 18-დან 21 წლამდე 500 სტუდენტი გოგონა მონაწილეობდა. კვლევამ საგანგაშო შედეგები მოგვცა. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული 250 გოგონას 17%-მა პირველი აბორტი 14 წლის ასაკში გაიკეთა. ასეთ პატარა ასაკში პირველი აბორტი ხშირად უშვილობას იწვევს, ასე, რომ ამ მიმართულებით, სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი. აბორტების მთლიანი რაოდენობის 20%-მდე სელექციურ აბორტებზე მოდის. ქართული მენტალობიდან გამომდინარე, აბორტებს ძირითადად, გოგო არა, ბიჭი მინდას გამო იკეთებდნენ. სამი წლის წინ, ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ გამოსცა ბრძანება და რეკომენდაციები სამშობიარო სახლებისთვის, რომ სქესის დადგენა სამ თვემდე არ მოხდეს. გამკაცრდა სასჯელი არალეგალურ აბორტებთან დაკავშირებით. თუკი ძველი კანონით, არალეგალურ აბორტზე პირველ შემთხვევაში ფულადი ჯარიმა და მეორე შემთხვევაზე სისხლის სამართლის მსუბუქი სასჯელი იყო, ახლა პირველივე შემთხვევა კრიმინალად ითვლება და სამიდან ხუთ წლამდე ციხეს ითვალისწინებს.

— **გაეროს მონაცემებით, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 28 პროცენტით შემცირდება. უდგას თუ არა ქართველ ერს გაქრობის საფრთხე და როგორ მოქმედებს ამ პროცესზე ჩვენს ტერიტორიაზე სხვა ერების დამკვიდრება?**

— 2013 წელს ჩვენთან კანონის გამკაცრება მოხდა და ისეთი ხელაღებით საქართველოში შემოსვლა, როგორც მანამდე ხდებოდა, დღეს აღარ ხდება, თუმცა ყველაფერი სრულყოფილად დარეგულირდება, როცა შემოვა კანონი მიგრაციის შესახებ. რაც შეეხება ქართველი ერის გაქრობას, ისტორიას თუ გადავხედევთ, ქართველები ყველაზე მეტნი - დაახლოებით 8 მილიონამდე, მე-12 საუკუნეში ვყოფილვართ. ყველაზე ცოტანი ანუ 400 000 კი მე-19 საუკუნის დასაწყისში, შავი ჭირის ეპიდემიის შემდეგ დავრჩით. საუკუნის დასაწყისიდან საუკუნის ბოლომდე 400 000-დან მილიონამდე ავედით და ზრდა დავიწყეთ, ანუ უფრო მძიმე დემოგრაფიული კრიზისიდანაც გამოვსულვართ და კიდევ გამოვალთ. სხვათა შორის, საქართველოში მიგრან-





8 გვ.

# მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას: თუ გვინდა საქართველო გადარჩეს, სასწრაფოდ დაელაპარაკეთ რუსებს!

## ქართველ მეფეებს რომ ეთქვათ, სანამ ტერიტორიებს არ დაგვიბრუნებენ, მონღოლებს ან სხვა დამპყრობლებს არ დაველაპარაკებითო, საქართველო დღეს აღარ იარსებებდა!



***„საერთო გაზეთის“ სტუმარია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ადვოკატი ნიკოლოზ მჭედლიძე:***

- ჩვენი საქმე ისეა, არდაბადებულ ბავშვს სახელს რომ არქმევდნენ, ვიზალიბერალიზაცია ჯერ მიღებული არ გვაქვს, თუმცა დიდი დღესასწაული მოვაწყვეთ, ევროკავშირის დროშის ფერებშიც გავანათეთ სატელევიზიო ანძა და რიგი შენობები. ბოლოს ისე არ აღმოჩნდეს, რომ სულ ტყუილად ვიზეიმეთ. იმავე ევროკავშირმა 1 დეკემბერს უვიზო მიმოსვლის უფლება მიანიჭა სოლომონის კუნძულებს, კირიბატის, მიკრონეზიას, ტუვალუსა და მარშალის კუნძულებს. სამარცხვინო არ არის, რომ ამ ქვეყნებმა მიიღეს ვიზალიბერალიზაცია, ხოლო საქართველოსა და უკრაინას, რომლებმაც რუსეთთან დაპირისპირების გამო, ტერიტორიები დაკარგეს, უარს ეუბნებიან.



ჩვენგან განსხვავებით, უკრაინამ საბოლოოდ დაკარგა ყირიმი, მისი დაბრუნება ფანტაზიის სფეროა, რადგან ამაზე უკვე თავად აშშ-ის პრეზიდენტი საუბრობს. აბა, სხვას რას ნიშნავდა ის განცხადება, რომ პატივი უნდა ვცეთ ყირიმში მცხოვრები ადამიანების განწყობებსო. ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლებას ძალიან არასწორი სტრატეგია აქვს არჩეული საზოგადოებას მინდა ვუთხრა, რომ ვიზალიბერალიზაცია, რომელსაც ასე სულმოუთქმელად ველოდებით, არ არის იმხელა მნიშვნელობის, რომ ამხელა აჟიოტაჟი ატყდეს. ეს არ არის ისეთი ვიზა, რომლითაც ევროპაში სამუშაოდ წავლენ, უბრალოდ, წელიწადში ერთხელ, 90 დღის მანძილზე უვიზოდ შეეძლებათ ევროკავშირის ტერიტორიაზე უვიზოდ მოგზაურობა. ევროპა მიგრაციამ მოიცვა, ისლამური ქვეყნების ზეწოლის ქვეშაა. სწორედ ამიტომაა თავად ევროპაში ნაციონალისტური იდეების მატარებელი პოლიტიკოსები რომ იმარჯვებენ. მე იმას არ ვამბობ, რომ ვიზალიბერალიზაცია ცუდია, მაგრამ ხომ ხედავთ, მოლდავეთში, რომელსაც კარგა ხანია მიღებული აქვს ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის უფლება, არჩევნებში პრორუსული განწყობის მქონე პრეზიდენტობის კანდიდატმა გაიმარჯვა, ისევე როგორც ბულგარეთში, რომელიც ნატოს წევრიცაა. ამერიკელებმაც სულ სხვა პოზიციების მქონე ადამიანი აირჩიეს პრეზიდენტად, რომელიც ამბობს, რომ სამ მილიონ არალეგალ მიგრანტს გაუშვებს ქვეყნიდან. ჩვენს ხელისუფლებას ისეთი ამბიციები უნდა ჰქონდეს, რომელიც საკუთარი მოსახლეობის ინტერესებთან იქნება თანხვედრაში, სასიკეთო გარდატეხას მოუტანს საქართველოს. სირცხვილია, როცა ქვეყანა სტრატეგიულ ამოცანად რაღაც განუხორციელებელს ისახავს, ასეთად მიმაჩნია ევროკავშირში გაწევრიანება. თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნები ამბობენ, რომ პაუზა სჭირდებათ, 15-წლიანი ტაიმ-აუტი ავიღოთ, ჯერ ჩვენ თვითონ ჩამოვყალიბდეთო. დიდმა ბრიტანეთმა დატოვა ევროკავშირი, იგივეს აპირებს საფრანგეთი, იტალიაშიც ანალოგიური პროცესებია, ევროკავშირი უკვე თავად იშლება, თუმცა ჩვენ მაინც ჯიუტად მივილტვით ევროკავშირისკენ. ნატოს პერსპექტივაც ძალზე ბუნდოვანია, ამერიკის ახლადარჩეული პრეზიდენტი ღიად ამბობს, ა რატომ უნდა ვიხადოთ საწევროს 25%, როცა ჩვენ თვითონ გვაქვს პრობლემები, სხვა წევრებმაც მოიჩხრიკონ ჯიბეო. ამ ყველაფრის მიუხედავად, მით უმეტეს, რომ არც გვიღებენ ნატოში, ამის არავითარი შანსიც კი არ გვაქვს, ნატოსკენ მივისწრაფით. ქვეყანას, რომელსაც დარღვეული აქვს ტერიტორიული მთლიანობა, თავისი უგუნური პოლიტიკის შედეგად, დაკარგული აქვს ტერიტორიების 20%, კიდევ ახალ საფრთხეებს იმატებს. კომუნისტებს რომ ლანძღავენ, ნაღმები ჩადეს ავტონომიების სახითო, იგივეს არ ვაკეთებთ, როცა ფოჩიანი კამფეტებივით ვარიგებთ საქართველოს მოქალაქეობას, ჯერ მარტო ის რად ღირს, მიხეილ სააკაშვილმა 30.000 თურქს რომ მისცა მოქალაქეობა. ჩვენი პოლიტიკის შედეგია რაც გვჭირს, სომხეთმა სწორი პოლიტიკის წარმოებით, კი არ დაკარგა, მიიერთა ტერიტორიები. აზერბაიჯანმა, შეიძლება დაკარგა ტერიტორიები, მაგრამ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მაინც კარგი ურთიერთობები აქვს რუსეთთან და დასავლეთთანაც. ჩვენ ფსევდოლიბერალური სექტის რაღაც წარმონაქმნად ჩამოვყალიბდით, საქართველო ფსევდოლიბერალიზმის უკანასკნელ კუნძულად ვაქციეთ. ასეთი გამყიდველური იდეოლოგიის მქონე ადამიანები კარგა ხანია არსად ყოფილან ხელისუფლებაში. იმის მაგივრად, რომ ხელისუფლება რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით ესაუბრებოდეს, რაღაც უტოპიურ მიზნებს ისახავს, ვიზალიბერალიზაციის მიღებასთან დაკავშირებით, რაღაცა თითიდან გამოწოვილი მიზეზებით პრობლემებს გიქმნიან, ხელისუფლება რომ გქვია, ვერ უნდა მიხვდე ეს რატომ ხდება?

**- თქვენი აზრით, რა არის რეალური მიზეზი?**

- განა საქართველოს მიღება არ უნდათ ევროკავშირსა თუ ნატოში, მაგრამ რუსეთის შიში აქვს ყველას, დიდ სიფრთხილეს იჩენენ, არ უნდათ რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა. რაც შეეხება, ნატოს საწვრთნელ ბაზებსა და ინტერნაციონალურ სამხედრო მისიებში ჩვენს ჩართულობას, ეს დასავლეთის ინტერესშია, ქართველ ბიჭებს სასაკლაოზე უშვებენ, მათ იაფი საზარბაზნე ხორცის ფუნქცია აქვთ. ჩვენთან ურთიერთობით ნატო უფრო დიდ სარგებელს ღებულობს ჩვენგან, ვიდრე ჩვენ მისგან, ჩვენ მხოლოდ დიდ საფრთხეებს ვიღებთ. სწორედ ნატოსთან დაახლოების, ნატოს დროშების ფრიალის და სხვა სისულეელების გამო იყო, რაც სააკაშვილმა აკეთა, რომ ტერიტორიების 20% დროებით დავკარგეთ. სანაცვლოდ რა მივიღეთ, არაფერი ხომ? ამერიკელი ჯარისკაცი თუ დაიღუპა, მის ოჯახს მილიონ დოლარს უხდიან, ჩვენი ჯარისკაცების ოჯახებს კი, ათ თუ ოცი ათასს. ჩვენს ჯარისკაცებს ხელფასსაც ბევრად ნაკლებს უხდიან, რაღაცა მათხოვრული ხელფასის გამო, ჩვენს ბიჭებს სასიკვდილოდ ვიმეტებთ და იქაური მოსახლეობის აგრესიასაც ვიწვევთ, თუკი ისინი თავიანთი ქვეყნის დაპყრობა და ოკუპანტებზე საუბრობენ. მე არ ვიცი, რეალურად რა მისია აქვთ იმ საჯარისო შენაერთებს, სადაც ქართველებიც არიან, ამ ბუნდივანი მისიით ავღანელი ან ერაყელი ჯარისკაცი რომ იყოს საქართველოში, არც ჩვენ გვესიამოვნება. ასე რომ, ჩვენ ნატოსთან ურთიერთობით კი არ მოვიგეთ, არამედ ბევრი წავაგეთ და კიდევ უფრო მეტს წავაგებთ, თუ გონს არ მოვეგებით. თუკი ამბობ, რომ რუსული ბაზა და ჯარი არ უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე, მაშინ სხვა ქვეყნის ბაზა და ჯარი რატომღა უნდა იყოს, მით უმეტეს, როცა ამ ბაზას დიდი საფრთხე მოაქვს. კარგად ვნახეთ, რომ რუსეთის მიმართ დაწესებულმა სანქციებმა ეს ქვეყანა დაზარალების მაგივრად გააძლიერა, ერი ერთ მუშტად შეიკრა, აიმაღლეს თავდაცვისუნარიანობა, გადააიარაღეს მთელი სამხედრო არსენალი, შექმნეს ახალიც. Gარდა ამისა, რასაც ნატო წლების განმავლობაში ვერ ახერხებდა ისლამური სახელმწიფოს მიმართ, რუსეთმა ბევრად ნაკლებ დროში შეძლო, თითქმის მთლიანად გაწმინდა სირია ტერორისტებისგან. რომ არა რუსეთი, იქ დღესაც იქნებოდა ქრისტიანების (და არამარტო ქრისტიანების) მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. ჩვენი მთავრობა კიდევ ვერ მოვიდა ჭკუაზე, ვურჩევ, კომბლეს თავი დაანებონ და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში ჩაიხედონ. ქართველი მეფეები ამათზე ნაკლები პატრიოტები არ ყოფილან, ტერიტორიების დასაბრუნებლად დამპყრობლებთან მოლაპარაკებებს რომ აწარმოებდნენ, დემეტრე თავდადებულს, გიორგი ბრწყინვალესა თუ სხვა მეფეებსაც ამათსავით რომ ეთქვათ, სანამ ტერიტორიებს არ დაგვიბრუნებენ, მონღოლებს და სხვა დამპყრობლებს არ დაველაპარაკებითო, საქართველო დღეს აღარ იარსებებდა. თუ ხელისუფლებამ პოლიტიკა არ შეცვალა, ისტორიაში სერგო ორჯონიკიძის სახელით შევლენ. ვფიქრობ, რუსეთთან დიალოგს თუ არ დავიწყებთ, მარტო აფხაზეთსა და სამაჩაბლოში კი არა, სხვა ტერიტორიებზეც შეგვექმნება პრობლემები. ამ თავიანთი უაზრო პოლიტიკით ნუ აიძულებენ რუსეთს, რომ მართლაც მიიერთოს აფხაზეთი და სამაჩაბლო, რაც მას ნამდვილად არ უნდა. ადრეც გითხარით, რუსეთს ამის სურვილი რომ ჰქონოდა, ყირიმთან ერთად მიიერთებდა. გადავხედოთ რუსეთ-საქართველოს ისტორიას, თუ სოჭს არ ჩავთვლით (ისე აზრი აქაც ორად იყოფა, ეს ტერიტორია ძალიან მოკლე პერიოდი ყოფილა საქართველოს შემადგენლობაში), რუსეთს არასდროს წაურთმევია საქართველოსთვის ტერიტორია, რასაც სხვა მეზობლებზე ვერ ვიტყვით. აჭარა დღეს საქართველოს შემადგენლობაში არ იქნებოდა, რუსეთს რომ არ დაებრუნებინა. ნატოს ძახილს თავს თუ არ დავანებებთ, კიდევ დავკარგავთ ტერიტორიებს. როგორც თავის დროზე ერთა ლიგა დაიშალა, უახლოეს ხანში ნატოც ისე დაიშლება, დავანებოთ თავი ფსევდოლიბერალიზმის იდეებსა და რაღაც არარეალურ მიზნებს. ის ვინც დღეს ამბობს, რომ რუსეთს არ უნდა დაველაპარაკოთ, სამშობლოს გამყიდველად მიმაჩნია. იმ ხელისუფალთ, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქართული მიწების დაკარგვას, ვარლამ არავიძესავით მიწაში არ გააჩერებს ქართველი ხალხი.

**- „სანატრელ“ ნატოში საქართველოს გაწევრიანებას თურმე პოლიტპატიმრების და „რუსთავი-2“-ის საკითხი უშლის ხელს.**

- საქართველოს ნატოსკენ მისწრაფებას, რომ „რუსთავი-2“-სა და პოლიტპატიმრების სა-

8 გვ. ➔



## როგორ იმოქმედებს ვიზალიბერალიზაცია საქართველოს დემოგრაფიულ პრობლემაზე და შეიცვლება თუ არა გეოპოლიტიკური ვითარება კავკასიაში?

6 გვ.

ტები მე-19 საუკუნის დასაწყისშიც შემოდიოდნენ, მაგრამ ქართველი ერი და მისი გენოფონდი მაინც გადარჩა. მინდა, ერთი მაგალითი გავიხსენო... მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა საფრანგეთის მოსახლეობა შიმშილით სულს ღაფავდა, შარლ დე გოლმა დემოგრაფიული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, სახელოვანი მსახიობები, მეცნიერები და პოლიტიკოსები შეკრიბა. მათთან ერთად, ყველა ქალაქი და სოფელი შემოიარა და ადამიანებს ქვეყნისთვის თითო შვილის გაჩენა თხოვა. ცარიელი სიტყვით, მხოლოდ ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული მოტივაციით, მშიერი ხალხს გამრავლებისკენ მოუწოდა და მომდევნო წლებში საფრანგეთში შობადობის ბუმი იყო. ფრანგი ხალხი დე გოლის მეთაურობით, გახდა მაგალითი იმისა, როგორ უნდა გადაარჩინო საკუთარი გონოფონდი. ასე, რომ სოციალური და ეკონომიკური დახმარებების გარდა, ამას სხვა მოტივაცია და სხვა შეგნება ჭირდება.

— **როგორც ვიცი, დემოგრაფიული მდგომარეობის თვალსაზრსით, კავკასიის რეგიონის მეზობელ ერებში უკეთესი მდგომარეობაა. როგორ ფიქრობთ, ჩვენი დემოგრაფიული პრობლემები გეოპოლიტიკური სურათის ცვლილებას ხომ არ გამოიწვევს?**

— საქართველო გასული საუკუნეებსა და განსაკუთრებით, მე-19, მე-20 საუკუნეში კავკასიის პოლიტიკის განმსაზღვრელი იყო. მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებამ კი შეიძლება მთელი რეგიონის გეოპოლიტიკა შეცვალოს. კავკასიაში აზერბაიჯანული მოსახლეობის წილობრივი მაჩვენებელი 2050 წლისთვის 33%-ით გაიზრდება. სომხეთს გარკვეული დემოგრაფიული პრობლემები აქვს, მაგრამ მათი წილობრივი რაოდენობაც 2050 წლისთვის 7%-ით გაიზრდება და ამ დროს, საქართველოს წილობრივი მაჩვენებელი 28%-ით მცირდება. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანლების წილობრივი მაჩვენებელიიზრდება, მაღალი შობადობა აქვთ და არანაირი დემოგრაფიული პრობლემა არ ემუქრებათ, სახელმწიფო უზარმაზარ თანხებს ხარჯავს შობადობის გაზრდისთვის, რადგან ეს ნებისმიერი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დააკვირდით საფრანგეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს. დომინანტი ერების წილობრივად შემცირებამ და სხვა ერების ზრდამ ქვეყნის შიგნით, მთელი რიგი უთანხმოებები და დაპირისპირებები გამოიწვია. მე იმედი მაქვს, რომ საქართველოში საქმე აქამდე არ მივა, ვინაიდან სახელმწიფო ჩაერთო პრობლემის მოგვარებაში. მიმდინარე წლის ივლისის თვეში საქართველოს პარალმენტმა მიიღო დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია. მანამდე კი დაბერების პოლიტიკის დოკუმენტი. პირველი შემთხვევაა, როცა საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილ ოფიციალურ პროგრამაში დემოგრაფია ცალკე მიმართულებად შეიტანა. ბოლო 30 წელია, საქართველოში ეს პრობლემები მძვინვარებს და დემოგრაფიული მიმართულება არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ ყოფილა შეტანილი. ამ პრობლემაზე მუშაობის დაწყება 10-15 წლით დაგვიანდა, თუმცა ჩვენ მაქსიმალურად ვცილობთ ავიცილოთ დემოგრაფიული კატასტროფა, რომელიც გაერომ 2050 წლისთვის გვიწინასწარმეტყველა და გვჯერა, რომ შევძლებთ, რადგან პრობლემის მოგვარებაში მთელი სახელმწიფო აპარატი ჩაერთო და ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა. ახლა ჯერი პრემიერზე და მთავრობაზეა. როცა სამოქმედო გეგმა შემუშავდება, მერე შევძლებ უფრო დეტალურად გითხრათ, 2050 წელამდე რა დემოგრაფიული პროცესები გველის.

ნელი თორდია
571 35 36 88



## მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას: თუ გვინდა საქართველო გადარჩეს, სასწრაფოდ დაელაპარაკეთ რუსებს!

7 გვ.

კითხი შეუშლის ხელს, ეს თუ არ ვცდები, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა, ჯონ კირბიმ ბრძანა. მერე ეკა ბესელიამ „დაგვამშვიდა", ეგ ბრიფინგზე ითქვაო, რა მნიშვნელობა აქვს სად ითქვა. კიდევ კარგი, რომ ეს ობამას მთავრობის პოზიციაა. ტრამპის წარმომადგენლები ჯერ არ დანიშნულან თანამდებობებზე, თუმცა ახალი ხელისუფლებისგანაც არ უნდა ველოდოთ დიდ ცვლილებებს, რა თქმა უნდა ისეთი რადიკალური არ იქნება რუსეთის მიმართ დამოკიდებულება, მაგრამ ამერიკას მაინც ეყოლება კონკურენტად რუსეთი. ჩვენ კვლავ რომ გვთხოვენ „რუსთავი-2"-ს თავი გაანებეთ, პოლიტპატიმრები გვყავთ, ეს არის საქართველოს შეურაცხყოფა. ესენი რომელიმე თავმოყვარე ქვეყანას აკადრებენ, როგორც ჩვენ გვექცევიან, ვერ გავიგე ელჩის დონეზე წყდება საკითხები? რომ ამბობენ კომუნისტების დროს ცეკას მეორე მდივანი რუსი იყო, რუსები მართავდნენ საქართველოს, ის მეორე მდივანი ის ეარ ერეოდა ჩვენს საქმეებში, როგორც ამერიკელები ერევიან. ამიტომ ვფიქრობ, ხელისუფლებას, რომელსაც თავმოყვარეობა აქვს დაკარგული, ამერიკელებს საშუალებას აძლევენ, რომ ყველაფერში თავისი გაიტანონ, ვერაფერს ელაპარაკონ პუტინს. ქართველმა ხალხმა მინდა გაიგოს, შევარდნაძე ვინც იყო, კარგად ვიცით, მაგრამ მისი მმართველობისას ნელნელა დაიწყო საქართველოს გამთლიანება, იქ ერგნეთის ბაზრობა იყო, აფხაზები ხშირად სტუმრობდნენ თბილისს, დე-ფაქტო მთავრობებთან სისტემატური ურთიერთობები იყო, აფხაზები გვეხვეწებოდნენ ფედერაციულ მოწყობაზე, რომელიც ახლა სანატრელი გვაქვს, მაშინ კი არ ვთანხმდებოდით. თურმე ფედერაცია საქართველოს დაშლიდა, ახლა კონფედერაციაზეც აღარავინ გველაპარაკება. „ვარდების რევოლუცია" იმიტომ მოაწყვეს, რომ არ მომხდარიყო რუსეთთან დაახლოება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ეს იყო იმ ვითომდა რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, ამის შემდგომ ჩაბარეს კოდორი, რაზეც ემზარ კვიციანიც საუბრობს და შიდა ქართლის თითქმის ნახევარი. ამიტომ ვფიქრობ, ჩვენ იმის მიხედვით კი არ უნდა ვიმსჯელოთ, რას გვეტყვიან ამერიკელები და ევროპელები, არამედ ჩვენ რა გვინდა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მაშინ დაიწყება, როცა ჩვენ, ქართველები, „ავიღებთ" თბილისს. ყველაზე საშიში ის ადამიანები არიან, რომლებსაც ქართული გვარ-სახელი აქვთ, მაგრამ არ არიან ქართველები, რადგან არ აქვთ ქართული



მივაღწევთ. ერთი რამ აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, ამერიკელების და საერთოდ დასავლელი პარტნიორების ინტერესებში არ შედის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, იმიტომ, რომ, როგორც კი ტერიტორიულ მთლიანობას აღვიდგენთ, რაც რასაკვირველია, რუსეთის გარეშე ვერ მოხდება, რა თქმა უნდა რუსეთთან უკვე სულ სხვა ურთიერთობა გვექნება. მავანი ორ რუსეთზე რომ ქილიკობენ, მართლაც არსებობს, ოღონდ ორი კი არა, ხუთი და ექვსი რუსეთი. ეს არის უზარმაზარი ქვეყანა, სადაც არის გენერალიტეტი, რომელსაც დიდი ძალაუფლება აქვს, მას ხშირ შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლებაც ვერ უწევდა წინააღმდეგობას. ამ გენერალიტეტმა კინაღამ სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო 1991 წელს, ელცინის მმართველობისასაც ლამის დაშალეს რუსეთი. ამიტომ ჩვენ ნუ ვუყურებთ, ვილაც კონკრეტული პირი რას იტყვის, სხვებს შეიძლება სულ სხვა დამოკიდებულება ჰქონდეთ. მეც ვეთანხმები იმ პოზიციას, რომ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება ადვილი არ არის, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ რუსეთის პრეზიდენტი ყავისა და ჩაის თანხლებით ხელოვნებაზე სასაუბროდ არ გვეპატიჟება მოსკოვში, არც სტუმრების დახოცვას აპირებს. ამათ იმის შნოც არ აქვთ, რომ ჩავიდნენ და დამენტალობა, საქართველო არ სტკივათ. რომელ ტერიტორიებზეც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება, იქაც რთული ვითარებაა, ღიად ვერ ვსაუბრობ, რადგან ქვეყანას შეიძლება პრობლემები შეექმნას. ამათ თუ ეს არ აღელვებთ, სერგო ორჯონიკიძის ბედი არ ასცდებათ, უკვე საუბარია საპროტესტო გამოსვლებზე. ამ ოთხ წელს რომ ვერ დაასრულებენ, ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია.

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც წარსულშია ჩარჩენილი, ყველა დანარჩენ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობაზე საუბრობს. თურქეთის პრეზიდენტმა უკვე თქვა, ევროკავშირი არ გვაინტერესებს, სხვა გაერთიანებაში შესვლას განვიხილავთო, რომელ გაერთიანებაზე შეიძლება იყოს საუბარი თუ არა „ოდკბ"-ზე ან ევრაზიულ კავშირზე. ჩვენი ხელისუფლება საერთოდ ვერ ხვდება რა პროცესები მიდის, ასფალტის დაგებასა და კანალიზაციის შეცვლის მეტს ვერ „ვქაჩავთ", ჩვენს მაგივრად ყველაფერს ამერიკელები წყვეტენ, მაგრამ იქაც შეიცვლება დამოკიდებულება, რადგან იქაც მოვიდა ხელისუფლება, რომელიც საკუთარი ტრადიციებისა და ფასეულობების ერთგულია.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 77

# რატომ უხდის საქართველო კომპენსაციას სომხურ ეკლესიას საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზარალისთვის?

საგანგაშო ცნობა ვრცელდება ინტერნეტ სივრცეში, რომელიც უკავშირდება სომხური ე.წ. სამოციქულო ეკლესიის ყოვლად უსაფუძვლო პრეტენზიებს.

სომხები თავისი ე.წ. სამოციქულო ეკლესიისთვის ისეთი უძრავი ქონების გადაცემას მოითხოვენ, რომელთანაც ამ ეკლესიას არავითარი შეხება არ აქვს. მაგალითად, სულ ახლახანს სომხურმა მასმედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოში არსებული სომხური სათვისტომოს ძალისხმევით და „სახელგანთქმული" ქველმოქმედის - **რუბენ ვარდანიანცის** ფონდის დახმარებით, სომხურ სამოციქულო ეკლესიას გადაეცა მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი მწერლის, თბილისელი **ოვანეს თუმანიანის** საცხოვრებელი სახლი. მომავალი წლის გაზაფხულზე კი, ამ სახლში აღადგენს და განაგრძობს მუშაობას სომეხ მწერალთა კავშირი **„ვერნათუნი"**.



ნათელზე ნათელია, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. შემდეგი ნაბიჯი კი, იმ 442 ქართული ტაძრის მითვისებაა, რომელზეც ოცნებობენ საქართველოში არსებული ოფიციალური სომხური ეკლესიის ზოგიერთი ხელმძღვანელი და არა მარტო ისინი. სომხური ე.წ. ლობის მთავარი მიზანია, ყველა ხერხი გამოიყენოს, რათა ასეულობით ქართული ეკლესია-მონასტერი გადასცეს სომხურ ეკლესიას! კერძოდ, რამოდენიმე ხნის წინ სომხური სამოციქულო ეკლესიის ქართული ეპარქიის მმართველმა, ეპისკოპოსმა ვაზგენ მირზახანიანცმა გამოთქვა რწმენა, რომ იმ 442 ეკლესიიდან, რომლებსაც სომხები თავის საკუთრებად მიიჩნევენ, მათ დაუბრუნდებათ 56 ტაძარი, მათ შორისაა თბილისში მდებარე ორი ქართული ეკლესია, თავის დროზე სომხეთა მიერ მიტაცებული, გადაკეთებული მონოფიზიტურ ყაიდაზე და დასახელებული „ნორაშენად" და „სურბ ნშანად".

**- ვთვლი, რომ დროის განმავლობაში სომხურ ეკლესიას დაუბრუნებენ, როგორც „ნორაშენს", ისე „სურბ ნშანსაც". არ არის საიდუმლო, რომ თავად ქართველი საზოგადოება მათ სომხურ ეკლესიებად თვლის. ტურისტულ რუკებზეც ისინი მონიშნულნია, როგორც სომხური ტაძრები",** - უცხადებს „Спутник Армения"-ს კორესპონდენტს ეპისკოპოსი მირზახანიანცი. მაგრამ, ყველაზე „სატირალია" ის, რომ მაგ წერილშივე „სპუტნიკ არმენია" უარყოფს მირზახანიანცის სიტყვებს: **„სომხებს და ქართველებს შორის არაერთი ცხარე კამათი გაჩაღებულა იმის თაობაზე, თუ ვის ეკუთვნის ეს ეკლესიები. ორი ხალხის წარმომადგენლები მტკიცედ არიან დარწმუნებულები, რომ ეს მათი საკუთრებაა. ამ საკითხზე მოლაპარაკებები გრძელდება"**. რა გამოდის? გამოდის, რომ ვაზგენ მირზახანიანცი უტიფრად ცრუობს! ქართველი საზოგადოება არ აპირებს უარი თქვას თავის სიწმინდეებზე; მითუმეტეს, კარგად არის ცნობილი, თუ რომელ „ტურისტულ რუკებს" ეკიდება ვითარცა ხავს ეპისკოპოსი მირზახანიანცი. თავის დროზე ისტორიის ცნობილმა ფალსიფიკატორმა და შეთავსებით სომეხი ერისთვის უამრავი ტკივილის და უბედურების მომტანის, ტერორისტული ორგანიზაციის - „დაშნაკ ციუტუნის" პროვოკატორმა - **სამველ კარაპეტიანცმა** გამოუშვა ცნობარიც და რუკაც, რომელშიც 650 ქართული ეკლესია გამოცხადებულია „სომხურად".

**- ჩვენ, ასევე, შევაგროვეთ ყველა აუცილებელი დოკუმენტი, ფოტოსურათი და ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე იმ 56 ეკლესიაზე, რომლებსაც უახლოეს დროს წარვუდგენთ საქართველოს მთავრობას,** — ამბობს მირზახანიანცი; და ამით ეპისკოპოსმა, ფაქტობრივად, წინასწარ გაახმაურა 56 ქართული ეკლესიის სავარაუდო მიტაცების ამბავი.



უფრო გამაოგნებელი სითავხედეც მოხდა - სომხურმა ლობიმ და სომხურმა ეკლესიამ ქართულ სახელმწიფოს გამოსძალეს კომპენსაცია, ვითომდა, იმ ზარალისთვის, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მიაყენეს სომხებს საბჭოთა კავშირის დროს!... ჰოდა, მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობამ „კომპენსაციის სახით" გადაურიცხა სომხეთის ე.წ. სამოციქულო ეკლესიის ქართულ „ფილიალს" 800 ათასი ლარი.

**- ამ თანხიდან ხელფასს ვუხდით ეპარქიის ასზე მეტ თანამშრომელს, რვა სასულიერო პირს და ვაფინანსებთ ჩვენი სათვისტომოს სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათებლო ცენტრს,** - აღნიშნა მირზახანიანცმა.

სინამდვილეში, „სომხეთის სამოციქულო ეკლესიის თანამშრომლები" და „კულტურულ-საგანმანათებლო ცენტრები" დაკავებულები არიან პროვოკაციული თავდასხმებით ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ქართული ტაძრების მიტაცების მცდელობით, სეპარატიზმის პროპაგანდით სამცხე-ჯავახეთში; ანუ დაკავებულნი არიან საქართველოს და ქართველების მიმართ მტრული ქმედებებით. გამოდის, რომ საქართველოს ხელისუფლება კომპენსაციის სახით თავადვე აფინანსებს ამ რელიგიური ორგანიზაციის ძირგამომთხრელ მოღვაწეობას, რომელიც მიმართულია ჩვენი სახელმწიფოს და მოსახლეობის მიმართ? ან, რატომ უხდის? ეს ხომ უკანონოა, რადგან საქართველო არ არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე. სსრკ-ს სამართალმემკვიდრე გახლავს რუსეთი. ასე რომ, სომხურ ეკლესიას მისამართი შეეშალა. „მატერიალური და მორალური ზარალისთვის" მან უნდა მიმართოს რუსეთს და არა საქართველოს. მაგრამ, სომხებისთვის მთავარია, რომ მათ უკანონო პრეტენზიებზე და სარჩელებზე პასუხი აგოს დღევანდელმა ქართულმა სახელმწიფომ. რატომ? იმიტომ, რომ თურქეთისგან განსხვავებით, რომლისგანაც სომხები წარუმატებლად მოითხოვენ კომპენსაციას „გენოციდისთვის", საქართველო გეოპოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი ქვეყანაა და მას არა აქვს არავითარი გამოცდილება, წინ აღუდგეს სომეხ ნაციონალისტების უკანონო მოთხოვნებს. ამიტომ, როცა ქართული სახელმწიფო უხდის სომხურ ეკლესიას კომპენსაციას „საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზარალისთვის", ამით საქართველოს ხელისუფლება უნებლიედ უქმნის ნიადაგს ახალ სომხურ „სარჩელებს", რომლებიც სისხლს გამოწოვენ ქვეყანას და რითაც სომხური ლობი და ეკლესია შეეცდება გამოსტყუოს „გიჟვრაცუებს" ფული და უძრავი ქონება ნებისმიერი საბაბით. მაგრამ, მაინც, მათი უმთავრესი მიზანია ქართული სიწმინდეების მიტაცება.



უპირობოდ, სომეხი ნაციონალისტები მთავარ დარტყმას მიაყენებენ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას და ამ „საშვილიშვილო" საქმეში მათი უძლიერესი მოკავშირე იქნება დასავლეთი და ყველანაირი ამერიკულ-ევროპული პოლიტიკური თუ ფინანსური სტრუქტურები, რომლებიც მეტად მტრულად არიან განწყობილნი მართლმადიდებლობის მიმართ. დასავლეთი არც მალავს თავის მიზანს - გაანადგუროს მართლმადიდებლობა, რადგან მართლმადიდებელი ეკლესია არის სახელმწიფოშემქმნელი ღერძი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ რუსეთისთვისაც - დასავლეთის მთავარი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგისა. და, აი, აქ სომეხი ნაციონალისტები უნებლიედ გახდებიან თავისივე ფორმალური მოკავშირის - რუსეთის მტრებიც.

თუ დასავლეთი საქართველოში მთავარ დარტყმას მიაყენებს მართლმადიდებელ ეკლესიას, ამ დარტყმის „ტარანი" იქნებიან სომხები; და ქართული სიწმინდეების მითვისების დღევანდელი მცდელობაც ამის საწინდარია. ქართული ეკლესიების მიტაცებით სომეხი ნაციონალისტები უტევენ ჩვენი სახელმწიფოს სულიერ საძირკველს. ამიტომ, დოყლაპიობას, რაც გამოიხატა „კომპენსაციის" გადახდით, ბოლო უნდა მოეღოს. არ დავივიწყოთ, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში სომხებმა საქართველოს უჩივლეს ერთა ლიგაში - სომხური ქალაქი ტფილისი ქართველებმა თავის დედაქალაქად გამოაცხადესო. მაშინ მათ, სომხების მიერვე დაწყებული ქართულ-სომხური ომის შედეგად, „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ", მაგრამ სომხები დღემდე ოცნებობენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, რა თქმა უნდა, სხვისი ხელით ისინი დაიბრუნებენ სანუკვარ ქალაქს და „უხეშ" ქართულ დასახელებას - თბილისს შეცვლიან კეთილხმოვან სომხურ - თფხისზე.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სულ ხუთიოდე წლის წინ სააკაშვილმა („ქალიშვილობაში" საააკიანცმა) ამ მზაკვრული გეგმის განსახორციელებლად პირველი ნაბიჯი გადადგა - ქვეყნის პარლამენტი ქუთაისში გადაიტანა. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ „ნაცმოძრაობაში" ქართულ გვარებს საკმაო რაოდენობის სომეხია ამოფარებული.

**გიორგი კორძაძე**
571 77 61 95



# რა კავშირშია რაბინების წინასწარმეტყველება დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებასთან?

2016 წლის აპრილის თვეში, ებრაელთა პასექის დადგომამდე ერთი კვირით ადრე რაბინი შალომ ბერგერი, ებრაელ—ხასიდორთოდოქსთა სულიერი ლიდერი, ეწვია ამ თაობის ერთ-ერთ წამყვან რაბინ საიმ კანევსკის. შეხვედრას მრავალი ადამიანი ესწრებოდა, რათა თორას ამ ორი დიდი მცოდნის სასიკეთო შეხვედრის მოწმენი ყოფილიყვნენ. რაბი ბერგერმა ჰკითხა რაბი კანევსკის, მართალია თუ არა, რომ ეს წელი განსაკუთრებით ხელსაყრელია მაშიაყის მოსასვლელად. რაბი კანევსკიმ უყოყმანოდ უპასუხა ‘მეშვიდე პერიოდი (კურთხევისა)ჯერ არ დასრულებულა მეშვიდე პერიოდის დასრულების შემდეგ მოვა ძე დავითისა“(„დავითის ძეში“თანამედროვე რაბინები გულისხმობენ თავიანთ მაშიაყს, ანუ ანტიქრისტეს). მიიჩნევა რომ რაბი კანევსკი უმაღლეს სულიერ დონეზე იმყოფება, რომელიც წინასწარმეტყველურს უახლოვდება, რასაც ებრაელი მეცნიერები რუახ სა-კოდეშს (წმიდა სულს) უწოდებენ. ის, ამ წელს მესიის შესახებ ისე ლაპარაკობდა, როგორც ეს ადრე არასოდეს გაუკეთებია. რადგან წამყვანი რაბინები უკვე ალაპარაკდნენ, იმაზე რომ ეს წელი განსაკუთრებულია და ნიშანდებული იქნება სამყაროში ანტიქრისტეს მოსვლით ეს ნიშნავს, რომ უახლოეს პერიოდში უნდა დაიწყოს მსოფლიო მნიშვნელობის კატაკლიზმები, როდესაც ყველა ხალხი შეძრწუნებული იქნება ომებით, შიმშილით და სხვა აპოკალიპტური საშინელებებით, ანტიქრისტე სამყაროში მოვა როგორც უდიდესი მშვიდობისმყოფელი და მთელი მსოფლიოს მოსახლეობის მხსნელი, ამ პირობებს უმზადებენ მას მისი მსახურნი.

მიმდინარე წლის ზაფხულში, კუნძულ კრეტაზე საეკლესიო მღვდელმთავრობის სახით ფაქტობრივად დაეცა ოფიციალურად გაბატონებული მართლმადიდებლობის ის ნაწილი, რომელიც თავს „ეკლესიას“ უწოდებს და სახელმწიფოთა მხარდაჭერით სარგებლობს. ასე თუ ისე, კრებაზე მიღებულ იქნა მწვალებლური დოკუმენტები. მართალია ყველა არ დასწრებია კრებას და არც ხელი მოუწერიათ, მაგრამ მთლიანობაში განდგომილება უკვე მოხდა. თითქმის ყველა წყაროს ცნობით ომარის მეჩეთის ადგილზე უნდა აღდგეს სოლომონის ტაძარი. აღორძინების გზაზე მდგომი სინედრიონი მოუწოდებს ვლადიმერ პუტინს და დონალდ ტრამპს გააერთიანონ ძალისხმევა და შეასრულონ ბიბლიით დაკისრებული როლი იერუსალიმში ებრაელთა მესმე ტაძრის ასაშენებლად. (ბიბლიაში მათი როლის შესახებ რა წერია, ძნელი სათქმელია). სინედრიონის წერილში აღნიშნულია, რომ ტრამპის გამარჯვება მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ის მხარს უჭერდა იერუსალიმს და ტრამპს შეახსენებს წინასაარჩევნო დაპირებას, აშშ-ს საელჩო თელ-ავივიდან გადაიტანოს იერუსალიმში და ფაქტობრივად ის ისრაელის დედაქალაქად აღიაროს. კანონი იერუსალიმის ელჩობის შესახებ, რომელიც კონგრესმა მიიღო 1995 წელს, ხელს უწყობს საელჩოს გადატანას, მაგრამ მას ვეტო დაადეს. სინედრიონი მოუწოდებს ტრამპს გააუქმოს ვეტო, როგორც კი საპრეზიდენტო უფლებებში შევა. სინედრიონმა თავის წერილში პუტინსაც შეახსენა თავის კავშირი ტაძართან. 2012 წელს იერუსალიმში მესამე ოფიციალური ვიზიტის დროს პუტინი ღამით გოდების კედელს ეწვია და თითქოს ილოცა იმისთვის, რომ ტაძარი კვლავ აშენებულიყო. (არსებობს ვიდეო ჩანაწერიც თუმცა საუბარში მსგავსიც არაფერია ნათქვამი...)სინედრიონი პუტინს და ტრამპს დამატებით მოუწოდებს აღადგინონ სან-რემოს 1920 წლის რეზოლუციის მოქმედება, რომელიც ცნობილია სან-რემოს ხელშეკრულების სახელით და რომელმაც ოსმალეთის იმპერიის დაყოფის გზით, არსებითად დასაბამი მისცა ებრაულ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ის მოიცავს ბალფურის დეკლარაციასაც, რომელიც დიდმა ბრიტანეთმა გამოსცა 1917 წელს და მხარი დაუჭირა ისრაელის სახელმწიფოს შექმნას. 1925 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა კალვინ კულიჯმა მოახდინა სან-რემოს შეთანხმების რატიფიცირება და ებრაული სახელმწიფოს აღიარება აშშ-სთვის კანონიერად სავალდებულო გახადა. სინედრიონი ხაზს უსვამს, რომ ამ დროს, როდესაც პალესტინის ადმინისტრაცია ცდილობს მსოფლიო ისტორიის გადაწერას და ატარებს ბალფურის დეკლარაციის საწინააღმდეგო კამპანიას, უკიდურესად მნიშვნელოვანია შეთანხმების განახლების გზით გაძლიერდეს ისრაელის სახელმწიფოსადმი ამერიკის ისტორიული მხარდაჭერა. რაბინი ვაისი ხაზს უსვამს, რომ იერუსალიმზე ებრაული პრეტენზიების მხარდაჭერა რუსეთსაც მოუტანს სარგებლობას ამერიკასაც და მთელ მსოფლიოსაც. რაბინმა ვაისმა განმარტა, რომ „ტაძრის აშენებით რუსეთისა და ამერიკის ლიდერებს შეუძლიათ მსოფლიო ერები მიიყვანონ გლობალურ მშვიდობასთან.“



მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში იერუსალიმის მესამე ტაძარი „გუგლმა“ვირტუალურად ააშენა თავის რუქაზე, ოქტომბრის ბოლოს უფლის საფლავის გახსნა მოხდა. რაბინი იოსებ ბერგერი რომელიც სინას მთაზე მდებარე მეფე დავითის გასვენების ადგილს მეთვალყურეობს და მჭიდროდაა დაკავშირებული სამეუფოს სულიერებასთან განაცხადა რომ არჩევნები აშშ -ში მესიის მოსვლის ნაწილია „წარმოადგენს რა ედომის ბიბლიური ერის სულიერ შთამომავალს, ამერიკას ძალზედ მნიშვნელოვანი როლი აკისრია მესიის მოსვლაში, მაგრამ ამ როლის შესრულების შემდეგ ამერიკა განადგურებულ უნდა იქნას“. რაბინი იოსების განცხადებით, მისთვის თავიდანვე ნათელი იყო რომ აშშ- ს საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპი გაიმარჯვებდა“ ჰემატრიის (ნუმეროლოგია) მიხედვით ტრამპი არის მაშიაყი(მესია) ის დაკავშირებულია მესიანურ პროცესთან რომელიც ახლა მიმდინარეობს“. ხაბადურ საიტზე 14 ნოემბერს, აშშ-ს პრეზიდენტის არჩევიდანვე გამოქვეყნებულ იქნა ცნობა რომელშიც ნათქვამია „ჭეშმარიტი და სრული გათავისუფლება, რომელიც ახლა უნდა დადგეს, ყველა პარამეტრებით ყველა წინა დევნულებისგან გათავისუფლებაზე აღმატებული იქნება. ის ეგვიპტიდან ისრაელის გამოსვლაზე მეტიც კი იქნება, რომელიც დროებითი იყო, რადგან გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლავ მოიწია განთესვამ. ხოლო ჩვენი გათავისუფლება მარადიული იქნება- იმის შემდეგ უკვე აღარასოდეს გვექნება დევნულების ტანჯვა“ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციების თანახმად დონალდ ტრამპი თავისი ებრაელი ქალიშვილისა და შვილიშვილების მეშვეობით მთლიანად ხაბადის კონტროლქვეშ იმყოფება...მიმდინარე წლის 28 ნოემბერს ბიბლიური კოდების საუკეთესო ექსპერტმა რაბინმა გლაზერსონმა განაცხადა, „ხანძრები ისრაელში არის ბოლო ნიშანი, მესიის (მაშიაყის) გამოვლენის წინ“. აპოკალიფსი ჩვენს თვალწინ სრულდება, მაგრამ მცირედნი თუ ამჩნევენ ამას თვით მართლმადიდებელ მორწმუნეთა შორის. როგორც ცნობილია Gოოგლე--ახალი მსოფლიო მთავრობის ერთ-ერთი საკვანძო სტრუქტურაა და მის რუქაზე ალაქსას მეჩეთის ადგილზე წამოჭიმულია სოლომონის მესამე ტაძარი, რომელშიც გვირგვინი უნდა დაადგან ანტიქრისტეს. ჯერ-ჯერობით სატანის ეს საკერპე ანტიქრისტეს მსახურთა მიერ აშენებულია ვირტუალურ რეალობაში , მაგრამ როგორც ჩანს აქტიურად მზადდება მისი რეალური განხორციელება.

მეფე სოლომონის ტაძრის აგება ითვლება ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენად მასონურ ისტორიაში და არა მარტო. ამ ტაძრის აგების ალეგორიით ხდება მასონისთვის მესამე გრადუსის მინიჭება. ამ ტაძრის აგება წარმოადგენს მნიშვნელოვან სულიერ დატვირთვას. სოლომონი როგორც მეფე დავითის ძე, საკმაოდ ცნობილი რელიგიური და ისტორიული პერსონაჟია. მისი სახელი კი შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც -მზე, შუადღის, მერიდიანული მზე და - დაისის მზე, ასევე ასახავს მასონურ ფილოსოფიაში ლოჟის ოფიცერთა ფუნქციებსა და განვითარებას. ტაძრის მშენებლობისა და დიზაინის აღწერა მოცემულია ბიბლიაში (მეფენი 5;15-7:51), ტაძრის საკურთხეველში მხოლოდ ღირსეული და გამორჩეული ადამიანები შედიოდნენ, იქვე ინახებოდა წმ. კიდობანიც. მასონური ლოჟაც არის ზუსტად აგებული იგივე სიმბოლიზმითა და პროპორციებით, როგორც სოლომონის ტაძარი. დიდი ოსტატი ზის ლოჟის აღმოსავლეთით, უფროსი და უმცროსი დიაკვნები დასავლეთითა და სამხრეთით. არცერთი ოფიცერი არ ზის ჩრდილოეთით. სოლომონის პირველი ტაძარი დაინგრა 586 წელს ჩვენს წელთ აღრიცხვამდე, როდესაც ასირიელებმა ებრაელების აჯანყება ჩაახშეს. 70 წელი იგი ნანგრევებში იმყოფებოდა, სანამ ბაბილონი არ იქნა დაპყრობილი სპარსეთის მიერ და მეფე სირუსმა ეზრას და მის სამოცდაათ თანამოაზრეს უკან იერუსალიმში დაბრუნების ნება არ მისცა.



წმინდა მამების წინასწარმეტყველებით, აპოკალიფსამდე უნდა აღდგეს სოლომონის ტაძარი და მასში კურთხევა ანტიქრისტემ უნდა მიიღოს. ტაძრის აღდგენას გარკვეული შავი ძალები ჩქარობენ და მათი წინააღმდეგობის გაწევის სურვილიც არავის აქვს. იმედი მაქვს წმინდა მამების სხვა წინასწარმეტველებაც აღსრულდება და მართლმადიდებლობის მტრები სამუდამოდ დაივანებენ ჯოჯოხეთში, თუმცა მანამდე მართლმადიდებლებს მიწიერი ჯოჯოხეთის გავლა მოუწევთ!.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# საქართველო, მსოფლიოს ახალი წესრიგის გამო, შეიძლება თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეს

საქართველოს ბოლო-ბოლო ლამაზად, მაგრამ უარი ეთქვა ევროატლანტიკურ ალიანსში მიღებაზე, ყოველ შემთხვევაში, კარგა ხნით. როგორც ჩანს, სავარაუდოდ, ევროკავშირის ღია კარზეც იმდენივე ხანი მოგვიწევს კაკუნი, რამდენიც ალიანსის კარზე ვაკაკუნეთ.

ცუდად, ძალიან ცუდად ლაგდება საქართველოს მომავალი... სტავროპოლში გამართულ საეკლესიო ფორუმზე მოსკოვის საპატრიარქოს ეკლესიისა და საზოგადოებასთან



ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარე, დეკანოზმა ვსევოლოდ ჩაპლინმა განაცხადა: — „იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მხრიდან პირდაპირი გამოწვევა იქნება, რუსეთს აქვს ყველა შესაძლებლობა უზრუნველჰყოს უსაფრთხოება და სტაბილურობა მსოფლიოში ჩინეთთან, ისლამურ სამყაროსთან და ლათინურ ამერიკასთან ერთად. ჩვენ მოვიგერიეთ ის მოდელები, რომელსაც ძალადობით გვახვევდნენ, მაგრამ ერმა არ მიიღო; ჩვენ გავიმარჯვეთ იმათზეც, ვინც დღეს ცდილობს ჩვენი ცხოვრება მოაწყოს ჩვენი წესებისა და ჩვენი პრინციპების გარეშე; ჩვენ გავიმარჯვებთ ამერიკაზეც და მათზეც, ვინც მას უმღერს — აუცილებელი არ არის ეს საომარ ველზე მოხდეს, თუმცა თუ ასეთი გამოწვევა იქნება, ჩვენ არ გვაქვს უფლება გამოწვევაზე უარი ვთქვათ.“

ღიად გაგვენდო გერმანიის ელჩი ორთვინ ჰენიგი: „გაიხსენეთ, რა დაუჯდა დასავლეთ ევროპას ორი მსოფლიო ომი და რუსეთის როლი ამ ომებში. ახლა, როცა ეს ყველაფერი მოგვარდა და ევროპაში სტაბილურობამ დაისადგურა, ბუნებრივია, ამას საქართველოს გამოც კი ვერ შეველევით“.

ექსპერტი იუჯინ კოგანი: — „შენელებული ინტერესისა და ორაზროვანი შეხედულებების გათვალისწინებით, საქართველო არ უნდა ელოდოს ევროპისგან რაიმე მნიშვნელოვან მხარდაჭერას რუსეთთან მისი ურთიერთობების გრძელვადიანი ნორმალიზაციის საკითხში“.

ევროკავშირს არ სურს რუსეთთან დაპირისპირება საქართველოს მიზეზით და ამის გამო საქართველოს მძიმე მდგომარეობაში ტოვებს. ამას, თითქოს აცნობიერებენ საქართველოს ოფიციალური პირები, მაგრამ არ სურთ ამის აღიარება. აშკარაა, რომ საქართველოს პოლიტიკური



წრეები შეცდნენ, როცა ივარაუდეს, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების ორმაგი პოლიტიკის განხორციელება შეიძლებოდა. ევროკავშირის წარმომადგენლებმა დატოვეს საქართველო ბედის ანაბარად და ფაქტობრივად თქვეს: „ჩვენ გეხმარებით თქვენ საქართველოში, რომ გააუმჯობესოთ ურთიერთობები რუსეთთან, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ თვით პროცესთან დაკავშირებით. ასე განაგრძეთ და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!“

პუტინმა მკაფიოდ განაცხადა: მცოცავი ოკუპაციის პოლიტიკა გაგრძელდება სრული სვლით და თქვენ, საქართველოში, შეგიძლიათ დაიჩივლოთ იმდენჯერ, რამდენჯერაც მოგინდებათ. თქვენი მხარდამჭერები ევროკავშირიდან კვლავაც მოკრძალებით მოიქცევიან და ფრთხილადაც ილაპარაკებენო. თუ თქვენ აირჩევთ მართებულ გზას, ეს თქვენთვის იქნება სასიკეთო, წინაალმდეგ შემთხვევაში, შედეგზე პასუხისმგებლობა თქვენვე დაგეკისრებათო.

ამ დროს მთელი ქართული საგარეო პოლიტიკური კურსი გაშეშებულია იმ მდგომარეობაში, რომელიც „დააკანონა“ საქართველოს პრეზიდენტყოფილმა, „რუსეთი ოკუპანტია, დასავლეთი — მეგობარი!“ ნუთუ ასე ძნელია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, აწ მრავალ დანაშაულში ეჭვმიტანილი მიხეილ სააკაშვილის ავადმყოფური აკვიატებების ჩრდილიდან გამოსვლა?

საქართველო კვლავ ევროკავშირისკენ ილტვის, და ეს ხდება სწორედ იმ დროს, როდესაც ევროპის ბევრ ქვეყანას სურს გავიდეს ევროკავშირიდან...

მარი ლე პენი: მე თუ საფრანგეთის პრეზიდენტი გავხდები, მე გავიყვან საფრანგეთს ევროკავშირიდან!



ქვეყნები, რომლებიც გაწევრიანებულები არიან ევროკავშირში, ახლა უკან დგამენ ნაბიჯს, რადგან ევროკავშირი არის მიცვალებულების გზა...“

სარა ვაგენკნეხტის მიმართვა გერმანიის კანცლერისა და სხვა ხელმძღვანელი პირების მიმართ: „ევროკავშირი ოდესღაც სახელმწიფოების კავშირს წარმოადგენდა, ახლა კი ის ხალხების ციხედ გადააქციეთ, ციხედ იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც საიმედოდ აკავებენ ვალების სადავეებით და მათ არ აქვთ არანაირი საშუალება განთავისუფლდნენ იმ ბორკილებისგან, რომლებიც მათ საერთაშორისო კაპიტალისტებმა დაადეს“.

„ბრექსიტმა“ და დონალდ ტრამპის გამარჯვებამ სხვა კუთხით გამოაცოცხლა ევროპა.

იტალიაში რეფერენდუმი იმართება კონსტიტუციის რეფორმის საკითხზე. საზოგადოებრივი აზრის შესწავლით ირკვევა, რომ რენცის წაგების შემთხვევაშიც კი, განმტკიცდება იტალიური „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობა“ რომელიც ისტებლიშმენტს უპირისპირდება, მისი წარმომადგენლები კი რომისა და ტურინის მერები არიან... ამ მოძრაობის წევრები, ევროსკეპტიკოსები, ევროზონიდან გამოსვლის მიზნით იბრძვიან რეფერენდუმის გასამართად. მოძრაობის დამაარსებელმა გრილომ „ტვიტერში“ დაწერა, რომ ტრამპის ტრიუმფი „მასმედიისთვის — ტელევიზიისთვის, წამყვანი გაზეთებისთვის, ინტელექტუალებისა და ჟურნალისტებისთვის აპოკალიფსი შეიქნა.“

აირია ნიდერლანდების სამეფოც. ანტიისლამისტი პოლიტიკოსი ჰერტ ვილდერსი გაახარა ტრამპის არჩევამ და ერთ-ერთი მისი ლოზუნგი სათავისოდ გადააკეთა „ნიდერლანდს კვლავ გავადიადებთ!“, „ნიდერლანდს ჰოლანდიელებს დავუბრუნებ!“ მისი სიტყვები სრულად შეეხამა ლოზუნგს „დავიბრუნოთ კონტროლი!“ რომლითაც „ბრექსიტის“ მომხრეები 23 ივნისის რეფერენდუმზე გაემართნენ. მართალია, ვილდერსის საქმის განხილვა სასამართლოში გრძელდება (ბრალად ედება რასობრივი სიძულვილის გაჩაღება), მაგრამ ეს არაფერს ცვლის, საზოგადოების განწყობაზეა საუბარი.

„ტვიტერი“: „იბადება ახალი მსოფლიო და ძალთა გლობალური ბალანსი შეიცვლება ტრამპის არჩევის წყალობით“. მან დასცინა საფრანგეთის მმართველ ელიტას და წამყვან გაზეთებს იმის გამო, რომ ფსონი ჰილარი ქლინტონზე დადეს და განაცხადა, რომ ბრიტანელებმა „ბრექსიტისთვის“ ხმის მიცემით ევროპის ელიტების წინააღმდეგ ბრძოლაში პირველი ზალპი გააკეთეს.“

იგივე ითქმის გერმანიაზე, დანიაზე და ზოგადად ევროპაზე, სადაც მეტ-ნაკლებად გამოღვიძება დაწყებულია.

მართლაც რომ საინტერესოა, სად ხედავს საქართველო საკუთარ თავს ამ დასავლურ ორომტრიალში?



**გიორგი ჩხეიძე**

# ძლიერი რეგიონები




### დუშეთის რეგიონში ახალი პროექტები განხორციელდება

ქალაქ დუშეთში გრძელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ამჟამად მიმდინარეობს ობსერვატორიის ქუჩის რეაბილიტაცია, სადაც მოეწყო სანიაღვრე არხი რკინის ცხაურით, რაც წლების განმავლობაში არ არსებობდა და მოსახლეობას უხვი ნალექის პირობებში პრობლემებს უქმნიდა. დაეგო ასფალტის პირველი ფენა.

* * *

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში მოეწყო შეხვედრა მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა ქვე-პროექტი, რომელიც განხორციელდება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში და რომელიც ითვალისწინებს ქ. დუშეთის ცენტრალურ უბანში საზოგადოებრივი პარკისა და მის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას. პროექტის განხილვას ესწრებოდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი.

* * *

ანანურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ციხისძირში დაიწყო გაზიფიცირება. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები, სოფლის ნახევარზე მეტი უკვე დაქსელილია და სულ მალე მოსახლეობა გაზით მომარაგდება.

* * *

ლაფანაანთკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს სოფლის მხრდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები: სოფელ მწითურებში — სასაფლაოზე მისასვლელი გზისა და ხევის რეაბილიტაცია, სოფელ მარღანში — სასმელი წყლის რეაბილიტაცია, დასრულების პროცესშია გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფელ კოშკასყელში, მოიხრეშა გზა სოფელ ხიზნებში, ნოკორნაში, ლაფანაანთკარში. სულ მალე დაიწყება ბოგირსამაგარი სამუშაოები ხონელაანთ ველზე.

### ჩოხატაურსა და ბახმაროში ზამთრის საკურორტო სეზონისთვის ემზადებიან

კურორტი ბახმარო ევროპის ქვეყნებიდან ზამთრის ექსტრემალური სპორტის მოყვარულებსა და პროფესიონალებს წელს პირველად უმასპინძლებს. ზამთრის საკურორტო სეზონის წინა მოსამზადებელი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს.

პროექტი, რომელიც გურიის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით ხორციელდება, მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო და უკვე აქტიურ ფაზაშია.

„თოვლზე მავალი“ ტრანსპორტირებისთვის მზად არის. ერთი თოვლის ბორანი - ძ1 და „სნოუქეთი“ ბახმაროში ტურისტების გადასაადგილებლად არის განკუთვნილი, ხოლო მეორე ბორანი M 8000 სამაშველო დანიშნულებისაა.

აღსანიშნავია, რომ ზამთრის სეზონზე ბახმაროში მყოფ ტურისტებსა და მომსახურე პერსონალს მართვის ინსტრუქტაჟს გერმანელი სპეციალისტები ჩაუტარებენ.

### ინფრასტრუქტურული პროექტები ვანში

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის პირველმა მოადგილემ, პაატა ნადირაძემ ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელ ზაზა ხურციძესთან ერთად დასრულებული და მიმდინარე პროექტები დაათვალიერა. მუნიციპალიტეტში რამდენიმე მცირე და საშუალო ზომის ხიდებისა და მდინარეების ნაპირსამაგრი სამუშაოები დასრულდა, ამ ეტაპზე კი მოცულობით დიდი ხიდების მშენებლობის ბოლო ეტაპი მიმდინარეობს. წლის ბოლოს კი ყველა პროექტი დასრულდება.

ვანის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურა ივლისში სტიქიის დროს დაზიანდა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ობიექტებისთვის 7 მილიონამდე ლარი გამოყო, რითაც 24 ერთეული ხიდისა და საავტომობილო გზების აღდგენა, აგრეთვე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება გახდა შესაძლებელი.

### თელავი — საფეხმავლო ხიდი მაწანწარის ხევზე

ქალაქ თელავში, ია ეკალაძის ქუჩაზე, მაწანწარის ხევზე დასრულდა საფეხმავლო ხიდის მოწყობა. შესრულებული სამუშაო დაათვალიერეს თელავის ვიცე-მერმა თენგიზ მთვარელიშვილმა, ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი კიკნაძემ და დასავლეთ თელავის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელმა გოგა ყურაშვილმა.

აღნიშნულ მონაკვეთზე საერთოდ არ ყოფილა ხიდი და მოსახლეობას ხევში სიარული უწევდა. ამ მონაკვეთზე მოეწყო ასევე გარე განთება ენერგოდამზოგავი სანათებით. აღნიშნული სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 20 000 ლარი დაიხარჯა.




### გურჯაანი — კაჭრეთის ხევში გაბიონები მოეწყო

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთის შიდასაუბნო გზის მიმდებარედ არსებულ ხევში გაბიონები, ხოლო გზის გასწვრივ დამცავი პარაპეტები (ბარიერები) მოეწყო. სამუშაოებისთვის საჭირო თანხა — 120 000 ლარი საქართველოს მთავრობის სპეციალური




განკარგულებით გამოიყო. 70 მეტრზე ხუთიარუსიანი გაბიონი მოეწყო. სამუშაოები 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და ის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დაცვით 27 ნოემბერს დასრულდა.

### სოფლის მხარდაჭერის პროგრამა აბაშის ადმინისტრაციულ ერთეულებში

„სოფლის მხადაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ამ ეტაპისთვის შესრულებულია:

პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში:

სოფ. 1-ლი მაისი — სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია — 14 718 ლარი; სოფ. თხმელარი — სოფლის შიდა გზის შეკეთება (საჭიროა გზის მოხვნა, ხრეშის დამატება, პროფილის მიცემა და დატკეპვნა) — 3567 ლარი და სამისამართო აბრების გაკეთება — 961 ლარი; სოფ. ქვიშანჭალა — გარე განათების მოწყობა არსებულ ელექტროგადამცემ 19 ბოძზე — 4832 ლარი.

ქოლობნის ადმინისტრაციულ ერთეულში:

სოფ. ქოლობანი — საბავშვო ბაღისა და და ამბულატორიის ეზოებში შესასვლელი ბილიკების მოწყობა ბეტონით — 1614 ლარი და ამავე სოფელში ამბულატორიისა და ბიბლიოთეკის შენობის ოთახების რემონტი — 4632 ლარი; სოფ. ბულვანი — სოფლის საძოვრის შემოღობვა — 5440 ლარი, აგრეთვე სოფლის შიდა გზის მოხრეშვა — 500 ლარი; სოფ. გუგუნაყათი — ხიდ-ბოგირის რკინაბეტონის მილით მოწყობა — 1685 ლარი და გარე განათების ბოძის მოწყობა სოფლის სასაფლაოსთან — 641 ლარი.

### სენაკი — სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორავას ქუჩაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ, გამგებლის მოადგილემ თენგიზ ლომიამ და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა ხორავას ქუჩაზე, რკინიგზის გადასასვლელთან მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

რეაბილიტაციით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში გამაგრდა და გაფართოვდა ქუჩაზე არსებული ხიდ-ბოგირი, გაიწმინდა სანიაღვრე არხი, მოეწყო ტროტუარები და ბორდიურები, სანიაღვრე არხზე ამოყვანილია კედელი და ხიდ-ბოგირზე დაგებულია რკინაბეტონის საფარი.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ გაუმჯობესდება აღნიშნული ტერიტორიის იერსახე, შემცირდება მოსახლეობის საცხოვრებელი კარმიდამოს დატბორვის საშიშროება, გაიზრდება ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება და საავტომობილო გზის გამტარუნარიანობა.

### ჩხოროწყუ — მუხურის ახლად აშენებული მეფუტკრეობის ბაზა

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ, რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროს-

# ძლიერი საქართველოსთვის




სა და ჩხოროწყუს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ მუხურში მეფუტკრეობის სანაშენე სამეცნიერო ბაზის ინფრასტრუქტურა დაათვალიერა.

ამ ბაზაზე ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შარშან დაიწყო. ამჟამად სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.

მუხურში თანამედროვე სამეცნიერო ტექნოლოგიებითა და ლაბორატორიული მოწყობილობებით აღჭურვილი კვლევითი ბაზა უახლოეს პერიოდში გაიხსნება, რაც სპეციალისტებს ქართული ფუტკრის თვისებებზე ფართომასშტაბიანი კვლევების წარმოების საშუალებას მისცემს.

პროექტს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს და მისი მოცულობა 900 000 ლარია.

### წალენჯიხა — ორი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობას 800 ათას ლარამდე მოხმარდება

წალენჯიხის სოფლებში — ჯგალსა და მიქავაში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ, რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

„ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება ბევრი ახალი საბავშვო ბაღი გვქონდეს, გამართული ინფრასტრუქტურითა და თანამედროვე ინვენტარით. წლების განმავლობაში საბავშვო ბაღებს ყურადღება არ ექცეოდა, ახლა კი ერთბაშად გვიწევს ყველა პრობლემის მოგვარება“, — განაცხადა გუბერნატორმა.

მიქავას და ჯგალის საბავშვო ბაღების მშენებლობისთვის 773 500 ლარი იხარჯება და ის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

მიქავას საბავშვო ბაღი 70 აღსაზრდელზეა გათვლილი, ხოლო ჯგალის საბავშვო ბაღი — 45 აღსაზრდელზე. ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა ორივე სოფელში გაისად დასრულდება.

### ხობი ფოთს უახლესი გზით დაუკავშირდება

ხობი-ახალსოფელი-რკინიგზის სადგურის დამაკავშირებელი 10,5-კილომეტრიანი გზის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

ახალი გზის მშენებლობისთვის 6 მილიონამდე ლარი იხარჯება. გზაზე ასფალტბეტონის საფარის გარდა ეწყობა ხიდები, ტროტუარები, ეზოებში შესასვლელები, სანიაღვრეები და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა.

ეს არის უახლოესი გზა, რომელიც ხობს ფოთთან აკავშირებს. ახალი გზა ქალაქ ხობში მდინარე ხობის ხიდთან იწყება, გაივლის სოფელ მეორე გურიფულს, გაღმა პირველ ხორგას, ახალსოფელს და რკინიგზის სადგურთან მთავრდება. ახალი გზა თეკლათი-ჭალადიდი-ფოთის ავტომაგისტრალს უკავშირდება.

პროექტს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს

### სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 46 მილიონი ლარი დაიხარჯა

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე სამხარეო ადმინისტრაციაში მუნიციპალიტეტების გამგებლებს, ქალაქ ახალციხის მერს, საკრებულოების თავმჯდომარეებსა და ინფრასტრუქტურის სამსახურების ხელმძღვანელებს შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე მუნიციპალიტეტებში ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების შესახებ იმსჯელეს.

შეხვედრას ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაქარია ენდელაძე, საკრებულოს თავმჯდომარე იმედა მღებრიშვილი და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გოდერძი სხირტლაძე ესწრებოდნენ.

მიმდინარე წელს მხარის მასშტაბით რეგიონული პროექტების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 46 372 770 ლარის ღირებულების 755 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება.

შეხვედრაზე სამცხე-ჯავახეთის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში 2017 წელს დაგეგმილი პროექტებიც განიხილეს. მათ მომზადებაში აქტიურად არიან ჩართული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფები. სამოქმედო გეგმაში შესატან პროექტებს განიხილავენ საკრებულოები, რის შემდეგაც საკონსულტაციო საბჭო შეიკრიბება და გეგმის საბოლოო ვარიანტს დაამტკიცებს.

### ახალციხე — საყუნეთში ასფალტის საფარი იგება

აგარა-საყუნეთის ცენტრალურ საავტომობილო გზის მონაკვეთზე ასფალტის საფარის დაგება მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში 1400 მეტრზე ასფალტის საფარი და რკინაბეტონის სანიაღვრე არხები ეწყობა.

სამუშაოებზე 14 ადამიანია დასაქმებული. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 379 000 ლარით ფინანსდება.

### ბორჯომი — ზანავსა და ვარდგინეთში სანიაღვრე არხის მოწყობა მიმდინარეობს

ზანავისა და ვარდგინეთის მოსახლეობამ „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში თვითონ შეარჩია ეს პროექტი. სოფელ ვარდგინეთში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციაც იგეგმება.

გამგებელ დიმიტრი ყიფიანის თქმით, აღნიშნულ სოფლებში სანიაღვრე ქსელი რკინაბეტონის არხებითა და ცხაურებით სულ 287 მეტრზე მოეწყობა.

„წვიმების დროს ნიაღვარი ასფალტბეტონის საფარს აზიანებდა. სანიაღვრე ქსელის მოწყობა კი აუცილებელი იყო. პროექტისთვის 23 564 ლარი დაიხარჯება. სამუშაოები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს“, — აღნიშნა გამგებელმა.

ახლახან დასრულდა სანიაღვრე ქსელი მოწყობა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ჭობისხევში, დვირსა და დგვარში.

### ადგილობრივი ხელისუფლება 175 ოჯახს საშეშე მერქნით დაეხმარება

ბოლნისის მუნიციპალიტეტში გრძელდება სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება. ზამთრის სეზონის დადგომასთან ერთად, დღის წესრიგში ბენეფიციარების შეშით უზრუნველყოფის საკითხი დადგა. ამ ეტაპზე საშეშე მერქნით სხვადასხვა კატეგორიის 80 ოჯახია უზრუნველყოფილი. საშეშე მერქნით სულ 175 ოჯახი დაკმაყოფილდება.

სოციალურად დაუცველთა დახმარება მათი განცხადების საფუძველზე მიმდინარეობს. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N76 განკარგულებისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების შესაბამისად, მეორე წელია ხორციელდება შეშით უზრუნველყოფის პროგრამა დაბასა და ქალაქში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და უკიდურესად შეჭირვებული მრავალშვილიანი ოჯახებისთვის.

„ბოლნისის მუნიციპალიტეტში საშეშე მერქნით დახმარების პროგრამა შარშან ამოქმედდა და 140 ოჯახს გაუწია დახმარება. წელს კი ბენეფიციართა რაოდენობა 175-მდე გაიზარდა. ჩვენი მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტ ადამიანს შევუმსუბუქოთ ყოველდღიური ყოფა“, — განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით შერაზადიშვილმა.




## „მოყვარეს პირში უძრახე“

### ღია წერილი ინტერფრაქციული ჯგუფის წევრებს

ზოგიერთი თქვენგანისადმი ჩემი დადებითი დამოკიდებულებისა და პატივისცემის მიუხედავად, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ, პირდაპირ გადავიდე სათქმელზე.

დარწმუნებული ვარ, საღად მოაზროვნე მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს თქვენს მიერ ხალხის დაბოლების მორიგ მცდელობას, ქვეყანაში საარჩევნო სისტემის „რადიკალური“ ცვლილებების თაობაზე, რომელიც მხოლოდ თქვენს პირად ინტერესებს ემსახურება.

ასეთი რადიკალური განცხადების გაკეთების უფლებას მაძლევს თქვენივე „საპროგრამო“ განცხადებები:

1. ყოვლად გაუმართლებელია თქვენი მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაუქმდეს არჩევნების მაჟორიტარული სისტემა, ანუ ხალხის მიერ არჩეული პიროვნებების ნაცვლად, მოსახლეობამ ხმა მისცეს ვიღაცვიღაცების კაბინეტებში, პირადი ერთგულების ნიშნით შერჩეული პიროვნებების ნუსხას, რომელთა უმრავლესობას ელემენტარული წარმოდგენაც არ აქვთ ამა თუ იმ რეგიონის — ადმინისტრაციული ერთეულის პრობლემებზე. დარწმუნებული ვარ, თქვენს ამ ახირებულ მოთხოვნას მხარს არ დაუჭერს ქვეყნის ახლადარჩეული პარლამენტი.

2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ე. წ. პოლიტიკური პარტიების ყოველგვარი დაფინანსების აკრძალვის ჩვენი მოთხოვნის ნაცვლად, თქვენ კატეგორიულად ითხოვთ სახელმწიფოს, ანუ მოსახლეობის ხარჯზე თქვენნაირი არაფრისმკეთებელი ათეულობით ორგანიზაციის დაფინანსების მექანიზმის დახვეწას.

და მაინც, იქნებ, როგორც „არაკვალიფიციურ სუბიექტს“ — (ეს თქვენი მოგონილი ტერმინია), გასაგებ ენაზე ამიხსნათ, საერთოდ, რა შუაშია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასეთი ორგანიზაციების დაფინანსება?

ანზორ ბაბუხადია,
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, ღირსების ორდენის კავალერი

# ლარმა მომწერა დილით მესიჯი...

ლარმა მომწერა დილით მესიჯი: მივსდიე დოლარს, მივსდიე სადამდეც შემეძლო და როგორც შემეძლო, წავიქეცი და კაცი არ მოიძებნა, რომ წამომაყენოს... ვაგდივარ აქვე, მოსახვევში და ველოდები, როდის შემომეფეთება ქუჩის კუთხიდან დოლარის სიყვარულიო...

შეუტყვია ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ლარის გასაჭირი და მოგვახსენა – სასწრაფოდ, სახლის გასაყიდი ფასი უნდა აისახოს ლარში... სადაც ასე მოიქცნენ, იმ ქვეყნებში მოსახლეობამ დოლარი დაივიწყა და ეროვნულ ვალუტაზე გადაერთოო...

გასაგებად აგვიხსნა ვიცე–პრეზიდენტმა ყველაფერი, მაგრამ ერთი კითხვა მაინც დამრჩა: გასაყიდი სახლების ფასი უნდა აისახოს ლარში თუ ყველასთვის სავალდებულო გახდება სახლის გაყიდვა? არა, ლარის გადასარჩენად არც მაგაზე დავიხევდი უკან, მაგრამ არ მაქვს სახლი და ვერც დოლარში გავყიდი და ვერც ლარში, თორემ კი არ მენანება...



ისე, ხუმრობა იქეთ იყოს და დოლარის დავიწყება და ლარზე გადართვა თუ უშველის საქმეს, მე დავიწყებული მყავს ამ წამიდან, აჰა, აღარ ვახსენებ, მაგრამ ვინ დამაცდის, დამიდგენს ხვალ დილით ეროვნული ბანკი ლარის რეკორდულად სამარცხვინოდ დაცემის ახალ ფაქტებს და წამცდება თვალი...

ვითომ ის არ მეყოფოდა სანერვიულოდ, სახლი რომ არ მაქვს გასაყიდი და ვერ ვეხმარები ლარს, რომ მთავრობამ ახალი თავსატეხი გამიჩინა: 65 მილიონი ლარით დაასუბსიდირებს იმ ადამიანების სესხების დოლარიდან ლარში კონვერტაციის ღირებულებას, რომელიც ბანკმა გასცა დოლარში, ქონების უზრუნველყოფითო.

ნუ, მე, როგორც სამაგალითო მოქალაქემ, ბევრი ვიფიქრე, როგორ მივიღო ამ 65 მილიონიდან ჩემი წილი – მაგალითად, შემიძლია ღამეც ვიმუშაო და რამდენიმე წელიწადში ბინის საყიდელი ფულის ნაწილი დავაგროვო, მერე დანარჩენი ნაწილი ვისესხო და ბინა ვიყიდო... ამ ბინას ბანკში ჩავდებ და სესხს ავიღებ დოლარში, იმ სესხით კი ვალს გადავიხდი, ბინის საყიდელი ფულის ნახევარი ხომ ნასესხები მაქვს, არა? მაგრამ, აქაც პატარა პრობლემაა – კარგი ხელფასი უნდა მერიცხებოდეს რომელიმე ბანკში და რამდენიმე ასეთივე კარგხელფასიანი თავდები მჭირდება...

არა უშავს, დიპლომი და განათლება მაქვს, ისღა დამრჩენია, თანამდობების რომელიმე პირს დავუმეგობრდე, აი, ისე დავუმეგობრდე, რომ ჩემზეც შეეძლოს თქმა, ამასთან ერთად თვალდახუჭული წავალ სანადიროდო (თან, მე უკეთესი მხედველობა მაქვს) და სამსახურის ამბავიც მოგვარდება... აი, მერე უკვე სესხსაც ავიღებ და სუბსიდიებიც შემეხება...

მაგრამ, ისევ პატარა პრობლემაა, სუბსიდიები მხოლოდ იმათ შეეხებათ, რომლებმაც სესხი 2015 წლამდე აიღეს... ანუ, იმათ, 2015 წლამდე რომ იღებდნენ მაღალ ხელფასსა და 2015 წლამდე რომ წარუდგინეს მაღალხელფასიანი თავდებები ბანკებს...

ეჰ, არ ყოფილა ეს სუბსიდია ჩემი ბედი... მაგრამ, ერთ რამეს მივხვდი, თუ ლარის გამყარებისთვის საჭიროა 65 მილიონის დახარჯვა, იმათზე, რომლებმაც ერთი სახლი ჩადეს ბანკში და აღებული დოლარით მეორე სახლი იყიდეს, ან მანქანა – მზად ვარ, მზად ვარ გვერდში დავუდგე სახელმწიფოსა და მთავრობას, მინისტრებს და მინისტრების მოადგილეებს...

მეტსაც გეტყვით, ჩემნაირებს: უსახლკაროებს, უმანქანოებს, ან „ოპელი“–ის მეპატრონეებს, დაბალხელფასიანებს, დოლარში გაუსვრელებსა და სესხაუღებლებსაც მოვუწოდებ, მოვუწოდებ, გადასახადები გადაიხადონ, მეტი იმუშაონ – ახლა, რთული დროა დამდგარი, ახლა, იმათ სჭირდებათ ჩვენი დახმარება – სახლ–კარიანებს, მანქანიანებს, კარგ მანქანიანებს, მაღალხელფასიანებს, დოლარში სესხაღებულებს...

ნუ, ვისაც მაღალი ხელფასი არ ჰქონდა, არც თავდებები ჰყავდა მაღალხელფასიანი, არც სანაცნობო წრე ჰყავდა გავლენიანი და ლუკმა–პურის ფულისთვის, შვილის ან დედის ავადმყოფობისთვის კერძო იპოთეკარს დაუთმო საცხოვრისი და დოლარში აქვს ვალი დასაბრუნებელი – რამე ეშველებათ, ან არ ეშველებათ და ჩვენს რიგებში გადმოინაცვლებენ – უსახლკაროებისა და უმანქანოების, დაბალხელფასიანების და სესხაუღებლების... და ჩვენ მეტნი ვიქნებით, უფრო და უფრო მეტნი ვიქნებით და რაღაც 65 მილიონი ვეღარაფერს დაგვაკლებს...

გამოდიან და გამოდიან მინისტრები სიტყვით, მეც მაქვს დოლარში სესხი აღებული, მეც, მეცაო, მეც აქა ვარ, სუბსიდიავო...

აბა, ისინი, ვისაც დოლარში არ აქვთ სესხი აღებული, რას იგრძნობენ ლარის დევალვაციას, რა ლომბარდის პროცენტები და რა ბინის ქირა დოლარში, ეგ წვრილმანებია... ამიტომ, მაგათაც რომ იგრძნობ, რა მძიმე დღეშია ლარი, სამარშუტო ტაქსებზე გადასახადი უნდა გავაძვიროთო... თუ მაინც გაჯიუტდებიან და იმ სამარშუტო ტაქსშიც არ ავლენ და ფეხით ივლიან, კიდევ უფრო მკაცრ ზომებს მივიღებთო...

ვივლი, ბატონო, „მარშუტკითაც“, ვივლი და მეტსაც ვიზამ, აი, ისევ მოვუწოდებ ჩემნაირებს, უსახლკაროებს, უმანქანოებს, უფულოებსა და უსესხოებს, მათაც „მარშუტკებით“ იმგზავრონ, რამდენიც არ უნდა გახდეს მგზავრობის ღირებულება, მაინც იმგზავრონ...

ხომ ხედავთ, არც გიძალიანდებით, ენას არ გიბრუნებთ, ეჭვი არ შეგვაქვს, რომ ეს სუბსიდიები ისევ თქვენთვის და თქვენი მეგობრებისთვის გამოყავით, მორჩილად მოგყვებით, მარტო ერთი თხოვნა გვაქვს – ზოგიერთებმა ენას კბილი კი არ დააჭირონ (არ ეტკინოთ მაინც, ნაზები არიან ეგენი), მაგრამ, დაადგან ცოტათი, თქვენებურად, ნაზად... თორემ, ისეთს იტყვიან ხოლმე, დაცინვაა, ხუმრობა თუ ჰეჯირება ვერ გამიგია...

მაგალითად, ერთმა გამოგვიცხადა, მადლობელნი უნდა იყოთ ლარის დევალვაციითო... აბა, ნახეთ: ლარის დევალვაცია რომ არ მომხდარიყო, თურქული, რუსული, თუ უკრაინული პროდუქცია იმდენად იაფი იქნებოდა საქართველოს ბაზარზე, რომ ქართული პროდუქცია დაგვრჩებოდა გაუსაღებელიო... მაგალითად: ქათამი, კვერცხი, კარტოფილი და სხვანიო... ქართულ ქათამს ისედაც ვერ ვყიდულობთ, ჩვენ დაბალხელფასიანები და ბრაზილიიდან გამოგზავნილს, უკვე გაძვირებულ, გაყინულ ბარკლებს შევექცევით, კარტოფილი კიდევ, აღარავისთვისაა უკვე საიდუმლო, რომ თურქეთიდან ჩამოაქვთ გენმოდიფიცირებული, ჩვენი, ახალციხის კარტოფილი კიდევ თურქეთს გააქვთ... რავი, კვერცხები შეიძლება დაგვრჩა ქართული, არ გეკამათებით...



ამასობაში კიდევ, მომდის და მომდის მესიჟები ბანკებიდან: თქვენ დაგიმტკიცდათ სესხი, ან, გაიარეთ ონლაინ რეგისტრაცია და მიიღეთ სესხი – მთავაზობენ და მთავაზობენ სესხებს, ზოგი იპოთეკურს, ზოგი სამომხმარებლოს, ზოგი ვითომ დაბალი პროცენტით – დავრეგისტრირდი ონლაინ და პასუხი უარყოფითი მოვიდა... ის იყო ხელი ჩავიქნიე, რომ ისევ მივიღე სესხის შემოთავაზებები მესიჯებად... ამჯერად, თავად მივედი ბანკში – პასუხი ისევ უარყოფითი მომივიდა – ეჰ, მაგათ მაინც რა ელადავებათ, ნეტავი...

**თამუნა კეშელავა**
555 46 08 04



# ასეთი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება საზოგადოების შეურაცხყოფაა



ნებისმიერი ჩამოსული სტუმარი, პირველ რიგში, ყურადღებას სწორედ საზოგადოებრივ ტრანსპორტს აქცევს და იმის მიხედვით საზღვრავს თუ როგორ ქვეყანაში ჩამოვიდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბევრი ტურისტი თუ სტუმარი, როდესაც პირველად ჩადის რომელიმე ქალაქში, სწორედ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობს აეროპორტიდან ქალაქის ცენტრამდე, რათა კარგად დაათვალიეროს და საზოგადოება, ხალხი გაიცნოს.

სხვისი რა გითხრათ და, პირადად მე, სირცხვილით ვიწვები, როდესაც 37 სარეისო ავტობუსში (რომელიც აეროპორტიდან ვაგზლის მოედნამდე მოძრაობს) უცხოელებს ვხვდები. მადლობა ღმერთს, ძირითადად, უცხოეთიდან რეისები ღამის საათებშია და ჩამოსული მგზავრები ტაქსით სარგებლობენ. „ბოგდანის" მარკის უკრაინული ავტობუსები მცირე გაბარიტის რომ არის, ყველა ვხედავთ. თანაც, საკმაოდ დიდი ინტერვალით მოძრაობენ. ამიტომ იშვიათია დღის მონაკვეთი, ჭედვა რომ არ იყოს, რადგან ამ მარშრუტით რამდენიმე დიდი უბნის მოსახლეობა სარგებლობს. წუხდება ყველა — მგზავრიც და მძღოლიც, მაგრამ სხვა გზა, პირდაპირ, ერთი ტრანსპორტით მოხვდნენ ქალაქის ცენტრში, არ არსებობს.



ჩვენ ახლა 37-ე მარშრუტი ვახსენეთ, მაგრამ ანალოგიური მდგომარეობაა თითქმის ყველა მარშრუტზე. მათ შორის იქაც, სადაც შედარებით დიდი ავტობუსები მოძრაობენ.

ერთადერთი ელექტროტრანსპორტი, რაც თბილისს შემორჩა, მეტროა. საბჭოთა პერიოდში საქართველოს დედაქალაქში ჩამოსული სტუმრები სპეციალურად ჩადიოდნენ მეტროში და მგზავრობდნენ, რათა დაეთვალიერებინათ არქიტექტურული თვალსაზრისით მართლაც უნიკალური სადგურები. ნაცხროვის მრუდე ხელი ამ ტრანსპორტსაც შეეხო. ვისაც ახსოვს ძველი სადგურები, შეუძლია ახლაც დაათვალიეროს და დაინახოს, როგორ შეიცვალა უარესობისკენ.

სადგურების იერ-სახის დამახინჯება ერთი უბედურებაა, ფაქტობრივად, თბილისის მეტროპოლიტენი იქცა სახელმწიფოდ სახელმწიფოში. რას არ ნახავს აქ ადამიანი! ვაჭრობა გნებავთ, კი ბატონო, მათხოვრები — რამდენიც გინდათ. ბოშები ხომ საერთოდაც დომინირებენ მეტროში. სადგურებში „ვარკეთილი", „სამგორი", „დიდუბე", ქალაქში გასასვლელი გვირაბები სადალაქოებად, სავაჭრო ობიექტებად არის ქცეული. მგზავრებისთვის, ფაქტობრივად, საცალფეხო ბილიკებია დარჩენილი, სადაც ადამიანებს ერთმანეთის გვერდის ავლა უჭირთ.

გასაგებია, რომ ქვეყანაში უმუშევრობაა და ხალხი თავის გამოკვების საშუალებას ეძებს. გარდა ამისა, მეტროპოლიტენიც იღებს დამატებით შემოსავალს ფართების გაყიდვით თუ გაქირავებით (ყოველივე ეს გასაიდუმლოებულია და ამის შესახებ არავინ საუბრობს), მაგრამ ზღვარი ხომ უნდა არსებობდეს. მეტროს სადგურების გარდა დედაქალაქის იერ-სახეც ხომ მახინჯდება, ამის შესახებ რატომ არავინ საუბრობს?

მეტროს ვაგონებში მგზავრების ყურადღებას იპყრობენ გამჭვირვალე ყუთებით მოძრავი ახალგაზრდები, რომლებიც ვითომ ქველმოქმედებისთვის (ყუთებზე ავადმყოფი ბავშვების ან ახალგაზრდების სურათებია მიმაგრებული) აგროვებენ თანხას. მათ უანგარობაში მას შემდეგ შემეპარა ეჭვი, როდესაც ანალოგიური ყუთით „პროფესიონალი" მათხოვარი ქალი დავინახე, რომელიც თითქმის 15 წელია, მეტროში მათხოვრობს.

მავანი იკითხავს, ხომ არის მეტროში პოლიციაო. დიახ, არიან პოლიციელები და თავიანთ საქმეს კარგადაც უძღვებიან. მაგრამ, როგორც ირკვევა, მათაც შეზღუდული უფლებები აქვთ. ბოშებს, მათხოვრებს ბუზსაც ვერავინ აუფრენს! პოლიციელებიც ფრთხილობენ, ადამიანის უფლებების დარღვევაში არ დაგვადანაშაულონო და არაფერს ეუბნებიან. მართლაც და ვის უნდა ზედმეტი თავის ტკივილი და უსაქმურ, არამკითხე არასამთავრობოებთან ჭიდილი.

დედაქალაქის საზოგადოებრივ ტრანსპორტში სამარშრუტო ტაქსებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ყველას კარგად გვახსოვს სამგზავრო ტრანსპორტის კოლაფსის დროს თბილისის ქუჩებში მათი გამოჩენა მოსახლეობისთვის დიდი შვების მომგვრელი აღმოჩნდა. ფაქტობრივად, მართლაც თვითდასაქმებულებმა საკუთარი შესაძლებლობებით მოახერხეს ავად თუ კარგად მგზავრობის დარეგულირება. იმის გამო, რომ სამარშრუტო ტაქსები მომგებიანი დარგი იყო და არის, ნაცბანდამ დარგი ერთი კერძო კომპანიის, „თბილისის მიკროავტობუსის" განკარგულებაში მოაქცია, ვითომ მგზავრების უკეთ მომსახურების მიზნით. შედეგად კი მოსახლეობამ მიიღო მგზავრობის გაძვირებული საფასური და სამარშრუტო ტაქსების შემცირებული განრიგი. თვითდასაქმებულები ადრე თუ თითქმის ღამის 12 საათამდე მუშაობდნენ, ახლა 10 საათის შემდეგ, ფაქტობრივად, აღარ მოძრაობენ.



იმის გამო, რომ „თბილისის მიკროავტობუსი" კერძო კომპანიაა, თავადვე არეგულირებენ მძღოლებთან ურთიერთობას და მგზავრობის ფასის დაწესებას — მათ საქმიანობაში დედაქალაქის მერია ნაკლებად ერევა. ფაქტობრივად, გამოდის, რომ „თბილისის მიკროავტობუსი" მონოპოლისტია, რადგან ალტერნატიული კომპანია, რომელიც მგზავრებს მოემსახურება, თბილისში არ არსებობს. „თბილისის მიკროავტობუსი" ამ პრივილეგიით მაქსიმალურად სარგებლობს კიდეც. რამდენიმე თვეა, საუბარია სამარშრუტო ტაქსით მგზავრობის ფასის მომატებაზე. მართალია, თბილისის მერია გვაიმედებს, ამ ეტაპზე მგზავრობის ფასი არ გაიზრდებაო, მაგრამ რამდენიმე დღის წინ თბილისი-რუსთავის მარშრუტზე მგზავრობის ფასმა 20 თეთრით მოიმატა.

დედაქალაქის მერიამ, მართალია, დაიწყო ავტობუსების ავტოპარკის განახლება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ ერთ მარშრუტზეა მართლაც კომფორტული ავტობუსები, რომლებიც თეთრ ყვავებს მოგვაგონებს მოძველებულ და უსახურ ავტობუსებს შორის. ალბათ, კარგი იქნება, თუ განახლების პროცესი დაჩქარდება. ამის გარდა, ხომ არ გვეფიქრა „თბილისის მიკროავტობუსის" ალტერნატიულ კომპანიაზე, რომელიც კონკურენციას გაუწევს არსებულს და მართლაც გააუმჯობესებს თბილისში გადაადგილებას.

და კიდევ ერთი საჭირბოროტო საკითხი. ახლა ბევრს და ხშირად საუბრობენ „აბრეშუმის გზის" შესახებ, რომელიც ევროპას და აზიას ერთმანეთთან დააკავშირებს საქართველოს გავლით. უნებლიედ ჩნდება კითხვა: სად უნდა მივიღოთ სამგზავრო მატარებელი? არა, კითხვა რიტორიკული სრულიადაც არ არის. თბილისის ცენტრალურმა რკინიგზის სადგურმა დღეს უკვე დაკარგა თავისი ფუნქცია, იქ ყველაფერია — მაღაზიები, კაფეები თუ სხვა დაწესებულებები... არ არის რკინიგზის სადგური. მნიშვნელობით მეორე რკინიგზის სადგური „ნავთლუღი" საერთოდ დაანგრიეს და მის ადგილზე კაზინო და აგრარული ბაზარი აღმოცენდა. სად გავაჩეროთ მატარებლები, როგორ მივიღოთ და გავისტუმროთ მგზავრები, ამის შესახებ არავინ ფიქრობს.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# ობუჯის სკოლა – 120

2016 წლის 4 დეკემბერს ობუჯის 1 საჯარო სკოლაში დიდი ზეიმით აღინიშნა სკოლის დაარსებიდან 120 წლის იუბილე.

1896 წელს სოფლის ინტელიგენციის მოწვევით სკოლა გახსნა 19 წლის საჩინოელმა ჭაბუკმა იაკობ ფიფიამ.

მოგვიანებით, ბიჭია შენგელაიამ (ცნობილი მეცნიერის, ისტორიკოსის, ობუჯელი შოთა მესხიას ბიძა) საკუთარ სახლში სკოლას დაუთმო 4 ოთახი. ამ სახლში სკოლა 3 წლის განმავლობაში მუშაობდა.

1926 წელს დაწყებითი სკოლის ბაზაზე გაიხსნა მეხუთე კლასი. შემდეგ დაემატა VI და VII კლასები.

1939 წელს შვიდწლედი საშუალო სკოლად გადაკეთდა.

1942 წელს ობუჯის საშუალო სკოლამ სრული კურსის პირველი გამოშვება იზეიმა.

1996 წელს სკოლის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით სკოლა გადავიდა ახალ, სამსართულიან შენობაში..

2010 წელს სკოლას მიენიჭა რაიონის ტრაგიკულად დაღუპული გამგებლის, სიკვდილის შემდეგ ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი, წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით დაჯილდოვებულის, ამ სკოლის კურსდამთავრებულის გია მებონიას სახელი.

სკოლის პედკოლექტივი ყოველთვის ცნობილი იყო რაიონში. აქ მასწავლებლებად უმუშავიათ რესპუბლიკაში ცნობილ პიროვნებებსაც: ევსევი ჩიქვანაიას (სამოქალაქო ომის გმირი), დანიელ ფიფიას (რეპრესირებული პოეტი), ალექსანდრე მესხიას (ფილოსოფოსი), ოლია კაკაჩია-სოსელიას (პროფესორი), ელენე ჭეიშვილს, ვერა ჯალაღონიას, ალექსანდრე სონგულიას, ვლადიმერ ჩიქობავას, ფუფულ ლაგვილავას (რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლები), მამია კაკაჩიას (რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი), ჭიჭიკო ურიდიას (ღირსების ორდენის კავალერი).



სკოლის კედლებში აღზრდილი უამრავი ახალგაზრდიდან ძალიან ბევრმა საქვეყნოდ გაუთქვა სახელი მშობლიურ სოფელს.

დანიელ ფიფია (რეპრესირებული პოეტი), გრიგოლ საჯაია (ი.გოგებაშვილის მედლის კავალერი, დამსახურებული ჟურნალისტი), ოლია კაკაჩია-სოსელია, ჯემალ მებონია, რამაზ მესხია, ლანა მზარელუა (პროფესორი), მარგო ფონიავა (დოცენტი), ვახტანგ ხარჩილავა, ვახტანგ გულუა, რამინ საჯაია (პოეტები), გრიშა ფიფია (მხატვარი), გიორგი მებონია (წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენის კავალერი).





ამ თარიღთან დაკავშირებით გამოიცა წიგნი ,,სამცაცხვის ფოთლებზე დაწერილი დღიურები". ავტორები: ამავე სკოლის პედაგოგები და აღზრდილები მანანა კაკაჩია და ვალერ ძაძამია.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები.: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი ბესიკ ფარცვანია და მისი მოადგილეები. საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ქალბატონი ლირა ღურწკაია, სკოლის კურსდამთავრებულები.

**მანანა კაკაჩია**

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

# „საერთო გაზეთის" იურიდიული კონსულტაცია



„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69; 5 93 78 64 69**

* * *

— **როგორ ხდება შრომითი ხელშეკრულების დადება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის?**

— საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს შრომის კოდექსის"მე- 6 მუხლის მიხედვით, 1-ლი ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით.

მე-2 ნაწილი:. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება იდება მხარეთათვის გასაგებ ენაზე. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს რამდენიმე ენაზე. თუ წერილობითი შრომითი ხელშეკრულება რამდენიმე ენაზეა დადებული, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე დადებულ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა ხელშეკრულებების დებულებებს შორის განსხვავების შემთხვევაში.

მე-3 ნაწილი: პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

მე-4 ნაწილი: დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ცნობა დასაქმების შესახებ, რომელიც მოიცავს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურების, შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე.

მე-5 ნაწილი: შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია პირს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდგომ — მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.

მე-6 ნაწილი: თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც მხოლოდ ავსებს და მთლიანად არ ცვლის ერთმანეთს, ყველა ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და განიხილება, როგორც ერთი შრომითი ხელშეკრულება.

მე-7 ნაწილი: წინა შრომითი ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი დებულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ხელშეკრულებით.

მე-8 ნაწილი: დასაქმებულთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

* * *

— **როგორ ხდება საჯარო ინფორმაციის გაცემა და ამ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა სამართლებრივად?**

— საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან.

— საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com